პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 132 (9600) | შაბათი, 6 ივნისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

საქართველოს სსრ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

დაუყოვნებლივ დავძლიოთ ჩამორჩენა სათოხნი კულტურების დამუშავებაში — **მოწინავე** (1-ლი გვერდი).
ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
პირველადი პარტიული ორგანიზაცია — ჩვენი პარტიის საფუძველი. **მ. არაშიძე.** — რაიონული კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები. **მ. კვატაშიძე.** — ჩემი შენიშვნები. **გ. მეფისაშვილი.** — პირველი ნაბიჯები. **გ. წერდვავა.** — რაიკომისაგან დავიწყებული (მე-2 გვერდი).
ფელეტონი. — **ს. ვასილიევი.** — [illegible] (მე-3 გვერდი).
ა. თომაძე. — კასპიისპირეთიდან [illegible] (მე-3 გვერდი).
საერთაშორისო თემაზე. — **ვ. ტაბატაძე** [illegible] — ქაშმირის საკითხი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).
ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში (მე-4 გვერდი).

დაუყოვნებლივ დავძლიოთ ჩამორჩენა სათოხნი კულტურების დამუშავებაში

სოციალისტურ მიწათმოქმედებაში ძირითადი ამოცანაა მოსავლიანობის შემდგომი გადიდება. ნათესების სანიმუშოდ მოვლა ამ ამოცანის გადაჭრის მთავარი პირობაა. სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ამ მდგომარეობას არ ითვალისწინებენ. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ურიგდებიან ნაკლოვანებებს სათოხნი კულტურების დამუშავების საქმეში და ამ დიდი მნიშვნელობის საქმის აშკარა შეუფასებლობას იჩენენ. ამის გამო ბევრი კოლმეურნეობა და მტს-ი სრულიად არადამაკმაყოფილებლად აწარმოებს სიმინდის, მზესუმზირას, კარტოფილის, თამბაქოს, შაქრის ჭარხლისა და სხვა სათოხნი კულტურების დამუშავებას.

ნათესების დამუშავება განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საგარეჯოს, მცხეთის, კასპის, ხაშურის, წითელწყაროს რაიონებში, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ტყიბულის და ონის რაიონებში სიმინდის გამარგვლასაც არ შესდგომიან.

მთელი რიგი რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა და სოფლის მეურნეობის განყოფილებათა გამგეებმა: საგარეჯოსი — (ამხ. მირიანაშვილი, ამხ. დავითაშვილი), მცხეთისა — (ამხ. პაპიაშვილი, ამხ. ხატიაშვილი), გარეუბნისა — (ამხ. კორახაშვილი, ამხ. სანგულაშვილი), კასპისა — (ამხ. ჯიქურაძე, ამხ. კოტეტიშვილი), თელავისა — (ამხ. ხაჩიძე, ამხ. გოგიძე), სამტრედიისა — (ამხ. კოპალეიშვილი, ამხ. ხასია) დროულად არ მოაწყეს ნათესების დამუშავების სამუშაოები, დაუშვეს ნათესების ძლიერ დასარეველიანება, ხელიდან გაუშვეს ამ სამუშაოთა საუკეთესო აგროტექნიკური ვადები და ამჟამადაც აჭიანურებენ ნათესების დამუშავებას.

როგორც ჩანს, ამ რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები არ ითვალისწინებენ იმ დიდ ზიანს, რაც მოაქვს ნათესების სარეველა ბალახებით დასარეველიანებას. ეს შეუწყნარებელი დანაშაულია.

საბჭოთა სახელმწიფომ საკოლმეურნეო სოფელი აღჭურვა პირველხარისხოვანი მანქანებით. მაგრამ ბევრგან მტს-ების ინდუსტრიული ტექნიკა სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული. ამის შედეგად პირველი ივნისისათვის მტს-ებმა სათოხნი კულტურების კულტივაციის გეგმა რესპუბლიკაში მხოლოდ 18,7 პროცენტით შეასრულეს. განსაკუთრებით ჩამორჩნენ კასპის, თეძამის და წნორის მტს-ები, ხოლო ნაფარეულის, ლაგოდეხის, აბაშის, ქუთაისის და ლანჩხუთის მტს-ებს ეს სამუშაო ჯერ კიდევ არ დაუწყიათ.

ნათესების დამუშავებაში ჩამორჩენის მიზეზია აგრეთვე შრომის ცუდი ორგანიზაცია. პარტიული და საბჭოთა ორგანოები არასაკმარ ყურადღებას აქცევენ შრომის მოწესრიგების საკითხებს; რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები და სოფლის მეურნეობების განყოფილებათა გამგეები არ იღებენ ზომებს შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის და არ უზრუნველყოფენ ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნის აქტიურ მონაწილეობას სათოხნი კულტურების დამუშავებაში. უწინარეს ყოვლისა ეს ითქმის კასპის, ჯავრეთის, აბაშის და სხვა მთელი რიგი რაიონების შესახებ.

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი მინდვრის სამუშაოთა ზერელედ შესრულების, აგროტექნიკის გაუბრალოების შემთხვევები. კიდევ მეტი: ამ საქმეში არის სოფლის მეურნეობის სპეციალისტების დანაშაულებრივი უდარდელობისა და უყურადღებობის ფაქტები. ჯავრეთის რაიონის სოფელ ყაკაბეთის შეერნიკის სახელობის კოლმეურნეობაში საშემოდგომო ხორბლის ნაწილი ქარმა დააზიანა, დაზიანებულ ზოგიერთ ნაკვეთზე მზესუმზირა დათესეს, მაგრამ ის ახლა მინდვრის მავნებელმა გაანადგურა. ეს იმით აიხსნება, რომ მტს-ის აგრონომ-ენტომოლოგმა ინასარიძემ და უბნის აგრონომმა კუზანაშვილმა შეუწყნარებელი უდარდელობა გამოიჩინეს ნათესების მოვლისადმი.

რაისაბჭოების აღმასკომები და პარტიის რაიონული კომიტეტები ვალდებული არიან გადაჭრით გაუმჯობესონ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა, ღრმად ჩაწვდნენ კოლმეურნეობათა ეკონომიკას, საფუძვლიანად შეისწავლონ საქმის მდგომარეობა, მჭიდრო კავშირი იქონიონ კოლმეურნეებთან, მექანიზატორებთან, ყური დაუგდონ მასების ხმას, გულისხმიერად მოეპყრან მათ საქმიან შენიშვნებს, წინადადებებს, ყოველნაირად შეუწყონ ხელი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების მუშაობის ნაკლოვანებათა მხილებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკის ფართოდ გაშლას. საჭიროა მუდამ გვახსოვდეს, რომ საკოლმეურნეო წყობილება კი არ ამცირებს კომუნისტების ხელმძღვანელ როლს, არამედ პირიქით, ადიდებს მათ პასუხისმგებლობას სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის საქმეში.

რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები და პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნები მოვალენი არიან ყოველდღიურად, კონკრეტულად, კვალიფიციურად უხელმძღვანელონ ნათესების დამუშავებას, პრაქტიკულად გვიჩვენონ ამ დიდი სამეურნეო მნიშვნელობის საქმის განხორციელებაში კოლმეურნეთა მასების დარაზმვის უნარი, ორგანიზატორული მუშაობის უნარი. სამწუხაროდ, აღმასკომის ზოგიერთმა თავმჯდომარემ ისიც კი არ იცის თუ რამდენ ჰექტარზეა გასათოხნი ნათესები, რამდენია უკვე გათოხნილი, რამდენი მუშახელია რაიონში, რამდენი მუშაობს ამ საქმეზე და ა. შ. განა ასეთ ვითარებაში შეიძლება ლაპარაკი სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაზე?!

საჭიროა მოეწყოს შრომისუნარიან კოლმეურნეთა მასობრივი გასვლა მინდვრად იმ ანგარიშით, რომ უახლოეს დღეებში დაუყოვნებლივ გამოსწორდეს სერიოზული ნაკლოვანებანი სათოხნი კულტურების პირველ დამუშავებაში, ამასთან ფართოდ გაჩაღდეს მეორე გამარგვლა, მთლიანად გაიწმინდოს ნათესები სარეველა ბალახებისაგან.

სოფლის მეურნეობის დარგში არსებული ნაკლოვანებანი ლაპარაკობენ აგრეთვე იმაზე, რომ ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები მიეჩვივნენ დაპირებებს უხვი მოსავლის მოყვანის შესახებ, აკეთებენ დეკლარაციულ განცხადებებს, მაგრამ მათი შესრულებისათვის შემდეგ ნაკლებად ზრუნავენ. არც ისე იშვიათად კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და მტს-ი იღებს ვალდებულებებს მოსავლიანობის გადიდების დარგში, კერძოდ ნათესების სანიმუშოდ დამუშავების დარგში. მაგრამ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები ალარ ამოწმებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, ამიტომ ვალდებულებანი ქაღალდზე რჩება და სოციალისტური შეჯიბრების ნაცვლად ვიღებთ პარადულ ხმაურსა და ფორმალიზმს.

დროა ბოლო მოეღოს საპარადო ხმაურსა და ფორმალიზმს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის დარგში. რა კარგადაც უნდა იყოს შედგენილი სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება, ესათუის დადგენილება, იგი მხოლოდ საქმის დასაწყისია. საჭიროა დადგენილების, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების სისტემატური შემოწმება, თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერება, მუშაობაში მაღალი მომთხოვნელობა. პარტია გვასწავლის, რომ უხვი მოსავალი თავისთავად არ მოვა, იგი მხოლოდ გრძოლით, თავდადებული შრომით, აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად და მტკიცედ განხორციელებით უნდა მოვიპოვოთ.

ᲒᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲨᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (**„კომუნისტის“ კორ.**). ბათუმის ციტრუსკომბინატის კოლექტივმა წელს ნახევარი მილიონი ქილით მეტი პროდუქცია უნდა გამოუშვას, ვიდრე შარშან.

კომბინატის ინჟინერ-ტექნიკოსებმა ბევრი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიება განახორციელეს მეკონსერვეების შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად და შრომის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად. განხორციელებულია მთელი რიგი შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, გამართულია ახალი დანადგარები, დამონტაჟებულია ქილების სარეცხი აპარატურა, ყინულის დამამზადებელი გენერატორი, რომელიც დღეში 15 ტონა ყინულს ამზადებს.

აღსანიშნავია, რომ საკონსერვო მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის მუშაკები ნაყოფიერ დახმარებას უწევენ კომბინატის კოლექტივს. ისინი წარმოების მუშაკებთან ერთად მუშაობენ წარმოების ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად, მანქანა-დანადგართა სრული ნაყოფიერებით გამოყენებისათვის.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

★

მცირდება ექსკავატორთა თვითღირებულება

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 3 ივნისი. (საკდესი). ლენინგრადის საექსკავატორო ქარხნის კოლექტივი საგზაო და საბინაო მშენებლობისათვის უშვებს უნიკალურ მიწისსათხრელ მანქანებს. მანქანათმშენებლები პოულობენ წარმოების ახალ რეზერვებს, იბრძვიან პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. ამჟამად თვითეული ექსკავატორის დამზადება ქარხანას უფრო იაფი უჯდება, ვიდრე შარშან.

მექანიკურ საამქროში კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ტექნოლოგი ვ. ლავრენტიევი მეთაურობს, წარმატებით ნერგავს ლითონის ჩქარასნულ ჭრას ვ. კოლესოვის მეთოდით. ჯუშინ ხარატმა ა. ტულინმა ცვლაში შვიდჯერ მეტი დეტალი დაამუშავა, ვიდრე ჩვეულებრივ ამუშავებდა. სტახანოველმა თითქმის 10-ჯერ გაადიდა საჭრისის მიწოდება და შეინარჩუნა დიდი სიჩქარე. ერთისამად—ერთი-ოთხად გაადიდეს გამომუშავება აგრეთვე ხარატებმა ვ. პარტნოვმა, ი. კონონოვმა, ნ. გრაჩოვმა და სხვებმა, რომლებიც ახალი მეთოდით მუშაობენ, საამქროებში თითქმის ყველა დეტალი ჩქარასნულია რეჟიმით მუშავდება. ეს თითქმის 30 პროცენტით აღიდებს შრომის ნაყოფიერებას.

ექსკავატორთა თვითღირებულების შემცირებას ხელს უწყობენ ქარხნის რაციონალიზატორებიც, რომლებმაც შეიმუშავეს და წარმოებაში დანერგეს სამოცზე მეტი სხვადასხვა სიახლე.

ექსკავატორების დამზადების ღირებულების შემცირებით ქარხნის კოლექტივმა წლის დამდეგიდან ორ მილიონ მანეთზე მეტი მოგება მიიღო.

ლითონის გრიგალური დამუშავება

ᲙᲠᲐᲛᲐᲢᲝᲠᲡᲙᲘ. სტალინის სახელობის ნოვო-კრამატორსკის მანქანათმშენებელ ქარხანაში ფართოდ იყენებენ ლითონის დამუშავების ახალ მეთოდს — ტრაპეციოიდალური კუთხვილების გრიგალურ ხრახვნას. მისი არსი ის არის, რომ დეტალი და ინსტრუმენტი ბრუნავენ ერთსა და იმავე დროს ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით. ეს მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ნარანდის აცლას.

სარედუქტორო საამქროში წარმატებით გაიარა გამოცდა ქარხნის საკუთხავ ლაბორატორიაში შექმნილმა ახალმა საკუთხავმა თავმა დიდი დეტალების კუთხვილების გრიგალური ხრახვნისათვის. თუ წინათ სამმეტრიანი ხრახნის კუთხვაზე 40 საათი იხარჯებოდა, ახლა იგი სულ ოთხ საათს გრძელდება. ხარატმა ამხ. რიაბჩენკომ სამ დღეში შეასრულა საამქროს ხრახნების დამზადების თვიური დავალება.

(საკდესი).



ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ ᲝᲚᲥᲘ. საბჭოთა მეურნეობების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივმა შეიმუშავა თვითს ახალები მანქანების მაღალი წარმადობის კომპლექსი. ეს მანქანები 8-10 საათში უზრუნველყოფენ თვითს ალებას 40-50 ჰექტარზე და 8-10-ჯერ ზრდიან შრომის ნაყოფიერებას თვითს ალების ყველა სხვა მექანიზებულ საშუალებასთან შედარებით. **სურათზე:** ერთ-ერთი ახალი მანქანა-ტრაქტორის დამზვინავი № 2 სასწავლო-საცდელ საბჭოთა მეურნეობაში ყრის თვითს თვითსაცლელზე.

ფოტო ლ. პორტერისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ციკლური რეჟიმის დანერგვა

ყარაგანდის ქვანახშირის აუზის შახტები მაღალი წარმადობის სამთო მექანიზმებით იარაღდება. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მანქანების პარკი ერთბოთხად გადიდდა. უდანოვის სახელობის, გორკის სახელობის, № 17-ბის, 18, 31 და სხვა შახტები გადაქცეულია მიწისქვეშა მექანიზებულ ქარხნებად. ქვანახშირის ჭრილებზე დამთავრდა გადახსნის სამუშაოთა, ქვანახშირის ამოღებისა და დატვირთვის ძირითადი პროცესების კომპლექსური მექანიზაცია.

აუზის ხელახალმა ტექნიკურმა შეიარაღებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა სათბობის ამოღების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის, წარმოების ციკლურობის გრაფიკით მოწყობისათვის. მოწინავე შახტების პრაქტიკამ ცხადყო, რომ ციკლური რეჟიმის დანერგვა დიდ შესაძლებლობას ქმნის იმისათვის, რომ სრულად გამოყენებულ იქნას სამთო ტექნიკა, გადიდდეს მეშახტეთა შრომის ნაყოფიერება.

კომპლექსური მექანიზაციის № 31 შახტში ციკლური გრაფიკის დანერგვის შედეგად ქვანახშირის საშუალო სადღეღამოსო ამოღება მეტ წილ ლავებში გადიდდა 200 ტონით, ხოლო კომპლექსური ბრიგადების მუშათა რიცხვი შემცირდა 175 კაცით. გრიგოლ ვორონის ციკლურ უბანზე მიღწეულია აუზში კომბაინის ყველაზე მეტი თვიური წარმადობა — 18 ათას ტონაზე მეტი სათბობი. ედანოვის სახელობის შახტის ივანე ტოპილინისა და პავლე ეფიმენკოს ციკლური უბნები უკვე ოქტომბრის ანგარიშში იძლევიან ქვანახშირს. წლის დამდეგიდან შახტის მაღაროელებმა 53 ეშელონი კოქსვადი ქვანახშირი გაგზავნეს ვეგმის გადამეტებით.

„ვოროშილოვგრადუგოლის“ კომბინატის მაღაროელებთან შეჯიბრებაში ყარაგანდის აუზის მეშახტეებმა ვადაზე სამი დღეღამით ადრე შეასრულეს ქვანახშირის ამოღების ხუთი თვის პროგრამა, ექვსი პროცენტით გაადიდეს შრომის ნაყოფიერება შარშანდელთან შედარებით. იმ ლავებში, რომლებმაც აითვისეს სამთო სამუშაოთა ორგანიზაციის ახალი პროგრესული მეთოდი, შრომის ნაყოფიერება 30 პროცენტით გადიდდა. კომბინატმა სათბობის თვითღირებულების შემცირებით მიიღო ექვს მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმითი დაგროვება.

ახლა აუზის შახტებსა და ჭრილებში ფართოდ ხორციელდება ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი წმედნითსა და მოსამზადებელ სანგრევებში ციკლური გრაფიკის დასანერგავად. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში კომბინატის მთავარმა ინჟინერმა სტალინური პრემიის ლაურეატმა ბ. ფ. ბრატჩენკომ განაცხადა:

— ივნისის დამდეგიდან ქვანახშირის ციკლურ ამოღებაზე გადადის 52 უბანი. ციკლური გრაფიკით ეწყობა აგრეთვე იმ გვირაბგამყვანთა ბრიგადების მუშაობა, რომელნიც ხსნიან ქვანახშირის ახალ ჰორიზონტებს კაპიტალური სამთო გვირაბების გაყვანის დროს. ისეთი გვირაბები, სადაც გაყვანა ჩქარასნული მრავალსანგრევიანი მეთოდებით ციკლური გრაფიკით ხდება, ახლა ორმოცდაექვსია. ქვანახშირის ამოღები თვითეული უბნისა და მოსამზადებელი სანგრევისათვის შემუშავებულია ციკლოგრამები. შექმნილია კომპლექსური ბრიგადები. გაუმჯობესებულია მათი ტექნიკური აღჭურვა. ქვანახშირის ღია ჭრილებში ციკლურ მუშაობაზე გადადის შვიდი ექსკავატორი. ქვანახშირის ამოღების მექანიზაციისათვის შახტები, რომლებშიც მძლავრი ფენები მუშავდება, მიიღებენ „დონბასის“ ტიპის ექვს შეწყვილებულ კომბაინს.

ყარაგანდა, (საკდესი).

★

მოსკოვ-როსტოვის სამგზავრო ხაზზე

დიზელ-ელმავალი „როსია“

საბჭოთა ფლოტს ემატება ახალი კომფორტაბელური სამგზავრო გემები და თბომავლები. ისინი დადიან ჩვენი ქვეყნის მდინარეებსა და ზღვებზე, გადაჰყავთ ათეულათასობით მგზავრი.

3 ივნისს მოსკოვიდან დონის როსტოვში პირველი რეისით წავიდა დიზელ-ელმავალი „როსია“.

ეს კომფორტაბელური გემი გათვალისწინებულია 300 მგზავრისათვის. მოხერხებულ კაიუტებს აკრავს საბაბაზანო ოთახები. დერეფნებში, სალონებსა და რესტორანებში დადგმულია დღის სინათლის ლამპები.

დიზელ-ელმავლის წინა ნაწილში ორი კომფორტაბელური სალონია. აქ მგზავრთა განკარგულებაშია პიანინო, რადიოლები, მაგიდის სათამაშოები.

ბავშვებიან მგზავრთათვის მოწყობილია დიდისა და ბავშვის დიდი კაიუტა. იქ არის მოხერხებული საბავშვო სწოლები, საბაბაზანო ოთახი, ხოლო გვერდით — ბავშვთა სასეირნო ტერასა.

საჭმელი მზადდება ელექტროღუმელებში. მეორე გემბანზე კერძების მიწოდება წარმოებს სპეციალური ლიფტით. გემში მოწყობილია მაცივრები.

მგზავრს საშუალება აქვს დაელაპარაკოს თავის ნაცნობებს ქალაქში, რომელსაც ჩაუვლის დიზელ-ელმავალი. დიზელ-ელმავალზეა ავტომატური ტელეფონის სადგური, რომელსაც გაჩერების დროს ჩართავენ ადგილობრივ საქალაქო ტელეფონის ქსელში.

(საკდესი).

მოლდავეთის საბჭოთა მეურნეობანი მკის წინ

ᲙᲘᲨᲘᲜᲔᲕᲘ, 3 ივნისი. (საკდესი). მოლდავეთის ყანებში თავთავს იკეთებს საშემოდგომო ხორბალი, შემოდის ჭვავი. საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარეობს უკანასკნელი მზადება მკისათვის, მთავრდება კომბაინებისა და მოსავლის ასაღები სხვა მანქანების რემონტი. საბჭოთა მეურნეობების „ალბოტის“, „ბაიმაკლიისკის“, „კარმანოვოს“ და სხვების კომბაინერებმა უკვე მიიღეს ყანები, შეადგინეს მანქანების მოძრაობის მარშრუტები, შეიმუშავეს საათობრივი გრაფიკები.

როგორც შარშან, დასახულია თავ-თავიანი კულტურების მთელ ფართობზე მოსავალი აღებულ იქნას მანქანებით. მექანიზატორებმა, რომლებიც გასული წლის მიღწევებს ემყარებიან, გადაწყვიტეს შეამცირონ მოსავლის აღების ვადები.

ხორციელდება აგრეთვე მოსავლის აღებასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოთა ფართო მექანიზაცია.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

★ ★

ხორბლის უხვი მოსავალი ჩინეთში

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 4 ივნისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჟენმინ-ჟიბაო“ დღეს იუწყება, ხებეის, ხენანის, შანდუნის, შენსისა და სხვა პროვინციებში მოწეულია ხორბლის უხვი მოსავალი.

ხორბლის წარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რაიონი ჩინეთში შენსის პროვინციაა. წელს ამ პროვინციის მთელ რიგ მაზრებში უმაგალითო კარგი მოსავალი მოიყვანეს. მაგალითად, ბაოკის რაიონის 8 მაზრაში საშუალო მოსავალი 15 პროცენტით სჭარბობს შარშანდელს, ვეინანის რაიონის 10 მაზრაში — 30 პროცენტით.

წელს შენსის პროვინციაში ხორბალი დათესილი იყო მნიშვნელოვნად მეტ ფართობზე, ვიდრე გასულ წელს. მოელიან, რომ მთელ პროვინციაში მოსავალი ბევრად გადააჭარბებს შარშანდელს.

სამხრეთ-დასავლეთის, აღმოსავლეთ და ცენტრალურ-სამხრეთ ჩინეთის პროვინციებში სახელმწიფო ორგანიზაციები შეუდგნენ კოოპერატივების დახმარებით გლეხებისაგან ხორბლის შეყიდვას.

უმაღლესი განათლება პოლონეთში

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 4 ივნისი. (საკდესი). პოლონეთში წლითიწლობით ფართოვდება უმაღლეს სასწავლებელთა ქსელი. თუ ომამდე პოლონეთში 27 უმაღლესი სასწავლებელი იყო, ახლა უკვე 83 უმაღლესი სასწავლებელია. სტუდენტთა რიცხვი ომამდელ პერიოდთან შედარებით ერთისამად გაიზარდა.

სახალხო ხელისუფლებამ ფართოდ გაუღო უმაღლეს სასწავლებელთა კარი მუშა და გლეხ ახალგაზრდობას. ამჟამად მუშათა და გლეხთა შვილები დახლოებით მთელი სტუდენტობის 60 პროცენტს შეადგენენ. ახლა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს გაცილებით მეტი ქალი, ვიდრე ომამდე.



ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲔᲑᲘ იყენებენ საბჭოთა ნოვატორების, კერძოდ ვ. ვოროშინის მეთოდებს. ბუქარესტის ქარხანა „დინამოს“ დამკვრელი, ახალგაზრდობის კავშირის წევრი ფლორიკა კირა ვ. ვოროშინის მეთოდების გამოყენებით ნორმას დიდი გადაჭარბებით ასრულებს. **სურათზე:** ბუქარესტის ქარხანა „დინამოს“ დამკვრელი ფლორიკა კირა მუშაობის დროს.

ფოტო რუმინეთის დეპეშათა სააგენტოსი.

★ ★

მაღაროელთა წარმატებანი

ᲞᲠᲐᲰᲐ, 4 ივნისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „პრაცე“ იუწყება, ოსტრავა-კარვინის ქვანახშირის აუზის „ორლოვის“ ტრესტის მეშახტეებმა მაისის გეგმა 102 პროცენტით შეასრულეს. საუკეთესო შახტის „ლუდვიკის“ კოლექტივმა მაისში გეგმის გადამეტებით ამოიღო 4.813 ტონა ქვანახშირი. ივნისის პირველი დღეების მუშაობის შედეგები ცხადყოფენ, რომ მეშახტეები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან: 1 ივნისს მათ საწარმოო დავალება შეასრულეს 113,6 პროცენტით, 2 ივნისს — 118,2 პროცენტით.

ჩრდილოეთ ჩეხეთის მურა ქვანახშირის აუზის მოწინავე შახტის „იაროსლავის“ კოლექტივმა 3 ივნისს ვადაზე შვიდი თვით ადრე შეასრულა თავისი ხუთწლიანი გეგმა. აქ კარგად ცნობილია შახტის მოწინავე მუშების რუდოლფ კრუპისა და იოზეფ შპეტლის სახელები.

მშრომელთა საზაფხულო დასვენება

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ, 5 ივნისი. (საკდესი). უნგრეთში დაიწყო ზაფხულის საკურორტო სეზონი. მარტო ბალატონის ტბის ნაპირებზე მშრომელთათვის გაიხსნა 202 დასასვენებელი სახლი, მატრის მთებში — 6 დასასვენებელი სახლი და სხვ.

შეიქმნა მთელი რიგი ახალი დასასვენებელი სახლები, მათ შორის საწარმოთა კუთვნილი დასასვენებელი სახლები. რამდენიმე დასასვენებელი სახლი განკუთვნილია სპეციალურად უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეებისათვის, 28 დასასვენებელი სახლი — ბავშვებისათვის. ბარაფშაშვარში ერთ-ერთი ყოფილი მაგნატის ციხე-დარბაზში შეიქმნება ბავშვთა დასასვენებელი სახლი 200 ბავშვისათვის.

პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციები ზრუნავენ დამსვენებელთა კულტურული მომსახურების უზრუნველყოფად. ამ მიზნით ასიგნებულია დიდი თანხები.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია — ჩვენი პარტიის საფუძველი

★ ★

პირველი ნაგიჯები

აკაკი გაბუნია ფანქარმომარჯვებული იჯდა რაიკომის მიერ მოწვეულ სემინარზე და ყურადღებით უსმენდა მომხსენებელს. მისთვის, როგორც პარტიულ მუშაობაში ნაკლებ გამოცდილი მუშაკისათვის, ბევრი რამ იყო მნიშვნელოვანი და საგულისხმო სემინარის მეცადინეობაზე, რომელიც რაიონულმა კომიტეტმა სპეციალურად მოიწვია პარტიული ორგანიზაციების ახლადარჩეული მდივნებისათვის. მრავალი საგულისხმო საკითხი ჩაიწერა მან ბლოკნოტში, კმაყოფილი დაბრუნდა სოფელში და საქმეს შეუდგა.

გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლის“ პირველადი პარტიული ორგანიზაცია ერთ-ერთი მსხვილი ორგანიზაციაა ქუთაისის რაიონში. მის რიგებში საბჭოთა კავშირის კომპარტიის 130-ზე მეტი წევრი და კანდიდატია. მიმდინარე წლის 24 მარტს აქ პარტბიუროს მდივნად არჩეულ იქნა ა. გაბუნია. უნდა ითქვას, რომ პირველ ხანებში მის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები იყო. იგი პარტიულ კრებაზე განსახილველი საკითხების მომზადებაში არ აბამდა კომუნისტებს. ამის გამო თვითონ უხდებოდა მთელი მუშაობის შესრულება. კამათში მონაწილეკომუნისტთა რიცხვიც მცირე იყო.

რაიკომში მოწყობილი სემინარი მას დიდად დაეხმარა. აქ გაიგო, როგორ უნდა მოაწყოს მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა, კომკავშირული ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობა, კომუნისტების პოლიტიკური სწავლება და სხვ.

საგულისხმოა პარტიული ბიუროს პირველი სხდომა, რომელიც სემინარის შემდეგ იქნა მოწვეული. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: პირველი — საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და მეორე — პარტიული ჯგუფების მუშაობის შესახებ. ა. გაბუნიამ საკითხების მოსამზადებლად პარტიული ბიუროს წევრებთან ერთად რიგითი კომუნისტებიც გამოჰყო.

მრავალი ფაქტი ცხადყოფს, რომ არჩევნების შემდეგ კოლმეურნეობაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. 56 აგიტატორიდან დიდი უმრავლესობა კარგად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. მაგალითად, მასწავლებელი ჟ. დათიაშვილი საინტერესო საუბრებს აწყობს პირველ ბრიგადაში და კოლმეურნეებს რაზმავს უხვი მოსავლისათვის საბრძოლველად. აქ ყველაზე ადრე შეუდგნენ ნათესების დამუშავებას. უკვე გათოხნილია ხუთ ჰექტარზე მეტი სიმინდი. ასევე თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ ის კოლმეურნეები, რომლებთანაც სისტემატურად მართავენ საუბრებს აგიტატორები ნ. ჯიქიძე, ნ. მუშკუდიანი და სხვები. აგიტატორებს ახლა უკეთესად ეხმარება აგიტკოლექტივი, რომელსაც თვით პარტბიუროს მდივანი ა. გაბუნია ხელმძღვანელობს. აგიტკოლექტივის უკანასკნელი მეცადინეობა მიეძღვნა ნათესების დამუშავებასა და ვენახის პირველ შეწამვლასთან დაკავშირებით საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაჩაღებას.

ივნისის პირველ რიცხვებში გამოშვებული კედლის გაზეთის „კოლმეურნის ხმის“ მორიგი ნომერი მოწმობს, რომ სარედაქციო კოლეგია დაკისრებულ მოვალეობას კარგად ასრულებს. კედლის გაზეთში მოთავსებულია ათზე მეტი კორესპონდენცია. იგი ფართოდ ასახავს კოლმეურნეობის სისხლსავსე ცხოვრებას. გაზეთში გამოქვეყნებულ რამდენიმე შენიშვნას პარტბიუროს დროზე გამოეხმაურა და საჭირო ზომები მიიღო მხილებული ნაკლის აღმოსაფხვრელად.

ამ რამდენიმე დღის წინათ პარტიულ ორგანიზაციაში იყო რაიკომის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების გამგე ვ. კვირიკაშვილი. იგი პარტბიუროს მდივანსა და წევრებს ესაუბრა პარტიული ჯგუფების მუშაობის შესახებ და მისცა საჭირო რჩევა-დარიგება. კოლმეურნეობის ბრიგადებსა და ფერმებში შექმნილია 14 პარტჯგუფი. განსაკუთრებით კარგად მუშაობს პარტჯგუფი მეცხოველეობის ფერმაში. პარტჯგუფორგანიზატორი შ. მუშკუდიანი ფერმის ყველა მუშაკს რაზმავს პირუტყვის სულადობის გადიდებისა და პროდუქტიულობის გეგმის შესრულებისათვის.

მნიშვნელოვნად ამაღლდა კომუნისტების ავანგარდული როლი. სოციალისტური შრომის გმირი, კომუნისტი გ. მუშკუდიანი, რომელიც მეთერთმეტე ბრიგადის პირველ რგოლს ხელმძღვანელობს, სამაგალითოდ მუშაობს. მისი ვალდებულებაა წელს სამი ჰექტარი ვენახის ფვითეულ ჰექტარზე მიიყვანოს 100 ცენტნერი ყურძენი. მაღალნაყოფიერად მუშაობენ კომუნისტები — ბრიგადირები ი. ბოდოკია, ი. მუშკუდიანი, შ. კილაძე და სხვები. კომუნისტი ვ. გიორგაძეს, რომელიც წინათ ჩამორჩენილი იყო, პარტბიუროს მდივანი რამდენჯერმე ესაუბრა პარტიის წევრის მაღალ მოვალეობაზე, პარტიის წესდებაზე, ახლა იგი მოწინავეთა რიგებშია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. არადამაკმაყოფილებელია უპარტიო აქტივთან მუშაობა, სუსტადაა დაყენებული კომუნისტების თეორიული სწავლება. შემაჯამებელ მეცადინეობაზე სრული უცოდინარობა გამოამჟღავნეს კომუნისტებმა გ. სირაძემ, ი. ამაღლობელმა, გ. გაბუნიამ და სხვებმა.

ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება და მთელი მუშაობის ახალი ამოცანების დონეზე აყვანა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანაა.

გ. მეფისაშვილი,
„კომუნისტის“ კორესპონდენტი.

სურათზე: ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლის“ პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი ა. გაბუნია ესაუბრება კომუნისტებს პარტიის წესდების შესახებ.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

ჩემი შენიშვნები

მაყვალა კვატაშიძე,
ონის რაიონის სოფელ უწერის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი.

ჩვენი კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ პარტბიუროს მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნო. კომუნისტებმა სამართლიანად გააკრიტიკეს პარტბიუროს ყოფილი მდივანი გ. მეტრეველი.

ჰარტბიუროს სხდომაზე მდივნად მე ამირჩიეს, თანაც თქვეს: ენერგიული ამხანაგია, ვიმედოვნებთ მუშაობას კარგად წარმართავსო! ამ ამხანაგების ამ სიტყვებმა წამახალისა. ვცდილობ პირნათლად შევასრულო დავალება, გავამართლო ნდობა.

არჩევნების შემდეგ ერთი თვე გავიდა. ამ მცირე დროში ჩემს წინაშე უკვე მრავალი საკითხი წამოიჭრა. კოლმეურნეობაში ბევრი რამ არის მოსაგვარებელი; დაბალია კომუნისტთა ავანგარდული როლი, არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდა, კომკავშირული ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობა.

ახლა ვუფიქრდები და ვხვდები, რომ ჩვენთან პარტიული მუშაობის ჩაშლის მიზეზია არა გ. მეტრეველის მოუნდომებლობა, არამედ ის, რომ მან არ იცოდა როგორ წარემართა ორგანიზაციის საქმიანობა, ხოლო რაიკომი მას სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევდა.

არჩევნების შემდეგ რაიკომმა რამდენიმე ჯაძლიერა ხელმძღვანელობა და დახმარება პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნებისადმი, მაგრამ ეს როდი გვაკმაყოფილებს, განსაკუთრებით იმ მდივნებს, რომლებსაც პირველად გვიხდება ამ მოვალეობის შესრულება და ჯერ კიდევ არა გვაქვს პარტიული მუშაობის გამოცდილება.

დაკისრებულ მოვალეობას თავი რომ გავართვათ, გვესაჭიროება მეთოდური და პრაქტიკული დახმარება. როგორ მოვამზადოთ და ჩავატაროთ პარტიული კრება, როგორ მივადწიოთ კრებაზე კომუნისტთა მაღალ აქტივობას, პრაქტიკულად როგორ შევახამოთ პარტიულ-პოლიტიკური და საშეურნეო საქმიანობა, როგორ მოვაწყოთ კომუნისტთა პოლიტიკური სწავლება და განვახორციელოთ კონტროლი კომუნისტთა თვითგანათლებისადმი, როგორ მოვაწყოთ პარტიული დავალების განაწილება და შესრულების შემოწმება — აი არასრული სია იმ საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტა გვიძნელდება და რომელთა მოგვარებაში რაიკომის მხრივ მეტი კონკრეტული დახმარება გვესაჭიროება.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ ჩვენი რესპუბლიკური და რაიონული გაზეთები ამ საკითხებზე თითქმის არაფერს წერენ. უკანასკნელ წლებში ერთი საინტერესო ბროშურაც არ გამოქვეყნებულა მოწინავე საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის დადებით გამოცდილებაზე, არ დაბეჭდილა ახალი წიგნი, რომელიც ცოცხალი მაგალითებით გვასწავლიდეს პარტიული მუშაობის ძირითადი საკითხების პრაქტიკულად მოგვარებას, ანდა, როგორც იტყვიან ხოლმე, ხელმძღვანელობის ხელოვნებას.

ჩვენი სურვილია რესპუბლიკურმა და რაიონულმა გაზეთებმა გაითვალისწინონ ეს შენიშვნები და თავიანთ ფურცლებზე პარტიული მუშაობის გამოცდილების ჩვენებით დახმარება გაგვიწიონ მდივნებს ყოველდღიურ მუშაობაში.

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ჩვენი რაიკომის დახმარება პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებისადმი ხშირად შემთხვევით, კამპანიურ ხასიათს ატარებს. საჭიროა, რომ რაიკომი მუდმივ დახმარებას გვიწევდეს. რაიკომის მუშაკი იქ უნდა იყოს, სადაც საქმე ჩამორჩენილია და იქიდან მანამდე არ უნდა მოიცვალოს ფეხი, სანამ მდგომარეობას არ გამოასწორებს.

აი როგორ მესმის მე რაიკომის დახმარება და ხელმძღვანელობა.

★ ★

ბიბლიოთეკა

რაიკომისაგან დავიწყებული

რამდენიმე წლის წინათ სუხუმის რაიონის სოფელ გუმისთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთ მოწინავე კოლმეურნეობად ითვლებოდა აფხაზეთში. საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია სწორად ახორციელებდა გამგეობის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, საჭირო ზომებს იღებდა მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მაგრამ მოპოვებული წარმატებებით აქ გაყოყოჩდნენ და საგრძნობლად შეასუსტეს პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა. ამან თავისი გავლენა მოახდინა კოლმეურნეობის საქმიანობაზეც. მან განსაკუთრებით ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი.

მოსალოდნელი იყო, რომ ახალი სამეურნეო წლის დაწყებიდანვე პარტიის სუხუმის რაიკომის აქედან სათანადო დასკვნებს გააკეთებდა, საქმიან, ცოცხალ კავშირს დაამყარებდა პირველადს პარტიულ ორგანიზაციასთან, დაეხმარებოდა მას. მაგრამ ასე არ მოხდა. სამწუხაროდ, მდგომარეობა არც არჩევნების შემდეგ შეცვლილა, თუმცა რაიკომის მუშაკების აზრით გუმისთის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში თითქოს ყველაფერი წესრიგზეა (!).

მივმართოთ ფაქტებს. პარტიულ ორგანიზაციაში კრებებს იშვიათად იწვევენ და მაშინაც მოუმზადებლად ატარებენ. წელს სულ მოწვეულია 5 კრება. ამ კრებებზე უმეტესად ზემდგომი პარტიული ორგანოების დადგენილებებია განხილული. დასახული ღონისძიებანი ზერელე და არაფრისმთქმელია. კომუნისტებმა წინასწარ არ იციან, როდის გაიმართება კრება და რა საკითხი იქნება განხილული. ამიტომ აქ 52 კომუნისტიდან კამათში მხოლოდ 2-3 იღებს მონაწილეობას.

პარტიულ ორგანიზაციაში ერთ წელზე მეტია სამუშაო გეგმებს არ ადგენენ, კრებებზე განსახილველი საკითხებიც მოუფიქრებლად გამოაქვთ.

უგულებელყოფილია პარტბიუროს, როგორც კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოს როლი. უფრო მეტიც, წელს პარტბიუროს სხდომებიც კი არ მოუწვევიათ. ყოველგვარ საკითხს ერთპიროვნულად, თავისი შეხედულებისამებრ წყვეტს პარტბიუროს მდივანი პ. ეხვაია.

თავიდანვე არადამაკმაყოფილებლად წარიმართა მეცადინეობა პოლიტიკური განათლების ქსელში. პარტიული სწავლების საქმისადმი ცალკეულ კომუნისტთა უსულგულო დამოკიდებულება მსჯელობის საგანი არ გახდარა, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს გამართული შემაჯამებელი მეცადინეობის შედეგებზე პარტბიუროს თითქმის არაფერი იცის, თითქოს ეს მას არ ეხებოდეს.

ჩაშლილია საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შემდეგ წამკითხველ-მოსაუბრეებს ლ. ლაპტევას, ა. მიქაელიანს, გ. ქარდავას, ა. კარაკოზიანს, მ. ელექჩიანს, ლ. მინოსიანს და სხვებს ერთხელაც არ გაუმართავთ საუბრები. ბრიგადებში არ გამოდის „საბრძოლო ფურცლები“. აგიტატორთა დასახმარებლად უკანასკნელი სამი თვის მანძილზე ერთხელაც არ მოწყობილა აგიტკოლექტივის მეცადინეობა.

კომუნისტთა უმრავლესობას დავალება არა აქვს. პარტბიუროს წევრები სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ პარტიულ დავალებათა შესრულების საქმეში. მაგალითად, პარტბიუროს წევრი შ. ქობალია კედლის გაზეთის რედაქტორია, მაგრამ ამ დავალებას უპასუხისმგებლოდ ეკიდება. ხუთი თვის განმავლობაში კედლის გაზეთის მხოლოდ ორი ნომერია გამოსული.

პარტბიუროს წევრმა კ. ბოჯოლიანმა, რომელიც პარტჯგუფორგანიზატორია მესამე ბრიგადაში, დღემდე ისიც კი არ იცის, თუ პარტიულ ჯგუფში რამდენი კომუნისტია გაერთიანებული. პარტიული ჯგუფის მუშაობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ასევე უმოქმედობას იჩენენ მეორე, მეოთხე და მეხუთე ბრიგადებში არსებული პარტიული ჯგუფები, რომლებსაც კომუნისტები მ. იჩმელიანი, ა. მალხასიანი და ძ. ბოჯოლიანი ხელმძღვანელობენ.

კოლმეურნეობაში დაბალია კომუნისტების ავანგარდული როლი. ე. ნაროუშვილს, ს. წულაიას, დ. ჭეჭიას, ა. რუხაძეს, მ. კიულიანს და სხვებს ხუთ თვეში მხოლოდ 5-დან 40-მდე შრომადღე აქვს გამომუშავებული თვითეულს.

პარტიული ორგანიზაციის სუსტი მუშაობის შედეგად კოლმეურნეობაში წელსაც არადამაკმაყოფილებელი ტემპით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. 2 ივნისისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ვადები გავიდა, თამბაქოს რგვის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 70,2 პროცენტით, ხოლო სიმინდის თესვისა — 81 პროცენტით.

პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება, რომელიც 27 აპრილს გაიმართა, დაბალ იდეურ დონეზე ჩატარდა. მოხსენება არ იყო კრიტიკული და თვითკრიტიკული. ამასთან მოკამათეებსაც არ ეყოთ გამბედაობა ემხილებინათ პარტბიუროს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. პარტიის რაიონულ კომიტეტს კრებაზე დასასწრებად თავისი წარმომადგენელი არ გამოუგზავნია და კრების ჩატარება კოლმეურნეობის თავმჯდომარეს რ. ჯიბავას მიანდო. მოუმზადებლად ჩატარებულ საანგარიშო-საარჩევნო კრებას მუშაობის გაუმჯობესებისათვის ქმედითი ღონისძიებანი არ დაუსახავს. ამიტომ მდგომარეობაც უცვლელი დარჩა.

რას იტყვიან ყოველივე ამის შესახებ პარტიის სუხუმის რაიკომის მუშაკები, რამდენად ნორმალურად მიაჩნიათ ეს?

გ. წირღვავა,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

რაიონული კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები

პირველადი პარტიული ორგანიზაციის მთელი საქმიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას მისი ხელმძღვანელი — მდივანი. პარტორგანიზაციის მდივანი მოვალეა იბრძოდეს იმისათვის, რომ ყოველი კომუნისტი მუშაობდეს თავისი იდეური დონის ასამაღლებლად, იყოს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის აქტიური მებრძოლი, იძლეოდეს პარტიული, შრომისა და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განხორციელების ნიმუშს. მთელი თავისი საქმიანობით პარტორგანიზაციის მდივანი ყოველმხრივ უნდა უწყობდეს ხელს კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლას, პარტიული მუშაობის დონის ამაღლებას, მასებზე პარტიული ორგანიზაციის გავლენის გაძლიერებას. ამიტომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების შერჩევას, მათ მიმართ ხელმძღვანელობისა და დახმარების სწორად მოწყობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადგილებზე პარტიული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის. პარტიის ამბროლაურის რაიონულ კომიტეტს კი ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებანი ჰქონდა. იმის გამო, რომ პარტორგანიზაციის მდივნებად ზოგან შერჩეული არ იყვნენ შესაფერისი მუშაკები, ამასთან რაიკომი მათ ჯეროვან ხელმძღვანელობასა და დახმარებას ვერ უწევდა, რაიონის მთელ რიგ პირველადს ორგანიზაციებში თითქმის ჩაშლილი იყო პარტიული მუშაობა.

სოფელ შრომის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში რეგულარულად არ იწვეოდა პარტიული კრებები, ყურადღება არ ექცეოდა განსახილველი საკითხების წინასწარ გულდასმით მომზადებას, დაბალი იყო კომუნისტთა აქტივობა, იღებდნენ ზერელე, არაფრისმთქმელ დადგენილებებს. პარტორგანიზაცია ვერ ახერხებდა სამეურნეო და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შეხამებას, სუსტად ახორციელებდა კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობის კონტროლის უფლებას, ვერ უზრუნველყოფდა მასების მობილიზაციას კოლმეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების შესასრულებლად. ამის შედეგად კოლმეურნეობა სამარცხვინოდ ჩამორჩა. სანახევროდაც არ შესრულებულა მარცვლეულისა და ყურძნის მოსავლიანობის 1952 წლის გეგმები.

ასეთივე მდგომარეობა იყო წესის, ხოტევის, ხონჭიორის, ნამანევის და სხვა საკოლმეურნეო პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში. აპრილში გამართულ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტებმა ამხილეს ამ პარტორგანიზაციების ნაკლოვანებები, გააკრიტიკეს მათი მდივნების უპასუხისმგებლო და უუნარო მუშაობა, წამოაყენეს საქმიანი წინადადებები მდგომარეობის გამოსასწორებლად. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ამ ორგანიზაციების მუშაობა შეფასებულ იქნა არადამაკმაყოფილებლად, მდივნებად აირჩიეს უფრო უნარიანი და საქმიანი ამხანაგები. მთლიანად რაიონში მდივნები 30 პირველადს ორგანიზაციაში შეიცვალა.

ამ ამხანაგების უმრავლესობას არა აქვს პარტიული მუშაობის საკმაო გამოცდილება. ბევრ მათგანს პირველად უხდება ამ პასუხსაგები მოვალეობის შესრულება. მართალია, მათ საქმისადმი სიყვარული და დაუშრეტელი ენერგია აქვთ, მაგრამ ამ ენერგიის ეფექტიანად გამოყენებისათვის პარტიის რაიონული კომიტეტის ოპერატიული ხელმძღვანელობა და ქმედითი დახმარება ესაჭიროებათ.

პარტიის ამბროლაურის რაიკომმა კარგად გაითვალისწინა ეს მდგომარეობა, მხედველობაში მიიღო პირველადი პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტების მიერ გამოთქმული საქმიანი შენიშვნები და ამჟამად სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებს მდივნებისა და მდივნების მოადგილეებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების გასაუმჯობესებლად, მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად. მაგალითად, ყოველთვიურად იკრიბება და შეუფერხებლად მუშაობს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და მათი მოადგილეების სემინარი, რომელიც შექმნილია რაიონულ კომიტეტთან. სემინარზე ისინი სწავლობენ პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხებს, აგრეთვე ეცნობიან მიმდინარე პოლიტიკის აქტუალურ ამბებს. აპრილის ბოლოს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და მათი მოადგილეებისათვის მოწყობილ სამდღიან სემინარზე ლექციები წაიკითხეს რაიკომის მდივნებმა და განყოფილებათა გამგეებმა.

რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ 8 მაისს მოიწვია პროპაგანდისტების, კონსულტანტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების რაიონული თათბირი, რომელზეც განხილულ იქნა საკითხი პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დამთავრებისათვის მზადების შესახებ. მათ მიეცათ რჩევა-დარიგება, თუ როგორ მოაწყონ შემაჯამებელი მეცადინეობა და თეორიული გასაუბრება. 12 მაისს გაიმართა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და მათი მოადგილეების რაიონული თათბირი, რომელმაც განიხილა პარტიული კრების მომზადებისა და ჩატარების, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობისა და პარტიის წევრთა აღრიცხვის საქმის გაუმჯობესების საკითხები. თათბირის შემდეგ წაიკითხულ იქნა ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალაა“. ამ თათბირზე პარტორგანიზაციების მდივნებმა ერთმანეთს გაუზიარეს პარტიული კრების მომზადების, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის, პარტიული მეურნეობის მოწესრიგების თავიანთი გამოცდილება. პარტორგანიზაციის მდივნებმა და მათმა მოადგილეებმა თათბირზე ბევრი რამ ახალი გაიგეს და შეითვისეს მომავალ პრაქტიკულ მუშაობაში გამოსაყენებლად.

რაიკომის ბიურო ხშირად განიხილავს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების მოხსენებას პარტიული მუშაობის ამა თუ იმ საკითხზე. ეს არის პარტორგანიზაციის მდივნების საქმიანობისადმი კონტროლის ერთ-ერთი ქმედითი ფორმა, რომელიც მათ დიდად ეხმარება მუშაობის გაუმჯობესებაში. მაგალითად, რაიკომის ბიუროს სხდომაზე მოსმენილ იქნა ლიხეთის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივნის კ. გოქსაძის მოხსენება კომკავშირელებთან მუშაობის შესახებ. გამოირკვა, რომ სუსტი პარტიული ხელმძღვანელობის შედეგად ლიხეთის საკოლმეურნეო კომკავშირულ ორგანიზაციაში მოუგვარებელი იყო კომკავშირული მეურნეობა. ექვსი კომკავშირელი დიდი ხანია წასულია სხვაგან, მაგრამ აღრიცხვიდან მოხსნილი ჯერ კიდევ არ არის. კოლმეურნეობაში დაბალია კომკავშირელთა ავანგარდული როლი. რაიკომის ბიუროს დადგენილება დაეხმარა პარტიულ ორგანიზაციას. მან გააძლიერა კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა. აღნიშნული ნაკლოვანებანი ამჟამად სწორდება.

ასევე შეიძლება ითქვას ჭრებალოს ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის შესახებ. ამ ორგანიზაციაში, ვიდრე რაიკომის ბიუროო მისი მდივნის ა. ცხვედიანის მოხსენებას მოისმენდა, პარტიული კრებები მოუმზადებლად იმართებოდა, კრებებს ყველა კომუნისტი არ ესწრებოდა, დაბალი იყო კომუნისტთა აქტივობა, ხშირი იყო კრებების გადადების შემთხვევები. ხშირად აქ ისეთ საკითხებს განიხილავდნენ, რომლებიც ტერიტორიული პარტორგანიზაციის კომპეტენციაში არ შედიოდა. მაგალითად, განიხილეს მეცხოველეობის ფერმისათვის ბინის მშენებლობის საკითხი, რომელზეც საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციას უნდა ემსჯელა. სამაგიეროდ მზედველობიდან გამორჩათ სოფლის კეთილმოწყობისა და კულტურული მშენებლობის მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები.

პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება რაიკომის მუშაკებმა გააძლიერეს ადგილზე მისვლითაც, მდივნებისათვის პარტიული მუშაობის კონკრეტულ საკითხებზე მითითებათა მიცემით, რჩევა-დარიგებით, საინსტრუქტაჟო საუბრების გამართვით. რაიკომის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების გამგე რ. ბაკურაძე ადგილზე მივიდა და პარტიული კრების მომზადების, აგრეთვე მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების საკითხებზე ესაუბრა ადარა-უყეშის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანს ი. დონაძეს, რომელსაც ურჩია შეემოწმებინა საგაზაფხულო ხვნა-თესვის საკითხზე მიღებული დადგენილების შესრულება. ი. დონაძეც ასე მოიქცა. კრებაზე გამოირკვა, რომ პარტორგანიზაციის დადგენილება არადამაკმაყოფილებლად სრულდება. დასახული ღონისძიებების შესრულების შედეგად ნაკლი გამოსწორდა და კოლმეურნეობაში ხვნა-თესვის სამუშაოები აგროტექნიკურ ვადებში დამთავრდა.

პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერებით რაიონულმა კომიტეტმა შეძლო საგრძნობლად გაეუმჯობესებინა მუშაობა წინათ ჩამორჩენილ პარტორგანიზაციებში. მაგალითად, სოფელ შრომის საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია, სადაც საანგარიშო-საარჩევნო კრებამ პარტბიუროს მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნო, ახლა მდგომარეობას ასწორებს. პარტბიუროს ახალმა მდივანმა ნ. მიქიაშვილმა საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი. ერთი თვის განმავლობაში აქ ორჯერ შედგა პარტიული კრება. კრებები წინასწარ გულდასმით მოამზადეს, კომუნისტებმა საკითხების განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. პარტიული კრების დადგენილებით კოლმეურნეობაში შემოიღეს ჯგუფფურ-ინდივიდუალური სანარდო სისტემა. გაძლიერდა ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტემპი, გაუმჯობესდა ვენახების მოვლა. კოლმეურნეებს გადაწყვეტილი აქვთ წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ სულ მცირე 50 ცენტნერი ყურძენი. ბრიგადებში გაძლიერდა საგიტაციო მუშობა. აგიტაცია უფრო კონკრეტული და ქმედითი გახდა.

მაგრამ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის დახმარების საქმეში ჯერ კიდევ ყველაფერი როდია რიგზე. ამ საქმეში მთელი რიგი ნაკლოვანებანია. რაიკომის მუშაკები ვერ ახერხებენ ყველა პარტიულ ორგანიზაციაში სისტემატურად მისვლას და მდივნისათვის ადგილზე პრაქტიკული დახმარების აღმოჩენას. ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად რაიონულ კომიტეტს გათვალისწინებული აქვს მომავალში შტატგარეშე ინსტრუქტორების გამოყენება. ამით შესაძლებელი გახდება ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომ თვითეულ პარტორგანიზაციაში თვეში არანაკლებ ერთხელ მაინც მიდიოდეს რამდენიმე დღით რაიკომის შტატის ან შტატგარეშე ინსტრუქტორი პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

რაიკომის მიერ გაწეული მუშაობა პირველი ნაბიჯებია პარტორგანიზაციის მდივნებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების გაუმჯობესების საქმეში. აქ ჯერ კიდევ მთლიანად გამოყენებული არ არის პარტორგანიზაციების მდივნების აღზრდისა და სწავლების ყველა ფორმა. მომავალში საჭირო იქნება მდივნების სწავლების გაძლიერება, მისი ისე მოწყობა, რომ მათ გამოუმუშავდეთ მომენტის სწორად შეფასების, მთავარი საკითხების წინწამოწევის, მათი მოგვარებისათვის ქმედით ღონისძიებათა დასახვისა და განხორციელების უნარი. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ მდივნებს შეეძლოთ პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობის უნარიანად შეხამება, კოლმეურნეობის ეკონომიკაში ღრმად ჩაწვდომა, პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობის დაუფლება. ამ მიზნით სისტემატურად უნდა იმართებოდეს რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირები, სადაც განიხილავენ პარტიული მუშაობის ამა თუ იმ აქტუალურ საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოწინავე პარტიული ორგანიზაციების, მათ შორის სოფლების საბჭოელისა და ხიჭაჭარის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების, გამოცდილების განზოგადებას პარტიული მუშაობის ცალკეული საკითხების მიხედვით. ამ გამოცდილების შესწავლა და გადატანა დიდად შეუწყობს ხელს სხვა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას.

მ. აროშიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელეტონი

ციტატოსანი

ლუკიჩს დიდი ფასი აქვს —
ყოვლისმცოდნე კაცია.

ეან ისტმატი სულ მთლად იცის,
დიამატის დარიცხვით,
ისტორიის მკვლევარია
კანდიდატის ხარისხით.
სწავლულია, ჟურნალისტი,
სიტყვის ხვავით აგავსებს;
წერა იცის... წერა იცის,
თაბახს ადებს თაბახზე.
ხან რომზე სწერს, ხან სპარტაზე,
წერის დიდოსტატია,
სულ წინ უდევთ რედაქტორებს
მისი ცხელი სტატია.
სულ წინ უდევთ დასტა-დასტად,
მაგრამ შიგ თუ ჩასწვდები, —
აქ ციტატა, იქ ციტატა,
ქვემოთ სხვა ციტატები.
შიგ არიან ბრძენ-კაცები
ძველნი, ძველზე-ძველნიც კი:
ჩერნიშევსკი,
დოკუჩაევ,
კლუჩევსკი და
ტოლსტოი.

ლუკიჩს დიდი ფასი აქვს —
ყოვლისმცოდნე კაცია.

ბრძენის სახით დააყენებს
და წყვეტს ბრძენის სახითვე
რთული სიბრძნის საიდუმლოს,
რთული სიბრძნის საკითხებს.
ძვირფასია მოსასმენად
მისი კალმის წყალობა,
სულსა სწვდება, გულსა სწვდება
მეცნიერის გალობა.
ყველა სიბრძნეს ჩასწვდომია,
ყველგან უდევს თათები, —
აქ ციტატა, იქ ციტატა,
ქვემოთ სხვა ციტატები.

ლუკიჩს დიდი ფასი აქვს —
ყოვლისმცოდნე კაცია.

ნორჩ ნაძვნარში, წყლის ნაპირად,
საოცნებო ბაღნართან
შეარჩია მონაკვეთი,
აგარაკი აღმართა.
ვარდ-ყვავილის სურნელება
უხვად ავსებს სივრცესა
და სიდედრი ხოტბას ასხამს
განათლებულ სიძესა.
ხოტბას ასხამს, მან რა იცის,
როგორ გაჩნდა ეს განძი,
რომ მას სიძეს ამ სიმდიდრეს
აძლევს ბევრი ბრძენ-კაცი.
ეს სიმდიდრე ათრობს სიდედრს,
ახარებს და იტაცებს,
ოქროს წვიმა დაუღვრიათ
გენიალურ ციტატებს.

ლუკიჩს დიდი ფასი აქვს —
ყოვლისმცოდნე კაცია.

დინჯად შედის სიბრძნის ზღვაში
კანდიდატის ხარისხით,
წინ უწყვია ციტატები
ღღეისთვის და ხვალისთვის.
ყველას იცნობს, ყველა ბრძენ-კაცს,
ყველა სიბრძნის საბუდარს...
მაგრამ მოჰკლავთ, თუ კი ჰკითხავთ
მოსაზრებას საკუთარს.
კიდეც ჰკითხეს ერთხელ ლუკიჩს,
წერა აღარ აცალეს:
— ახალ ხუთწლედს რა ფუძე აქვს,
რას ეყრდნობა, რა ძალებს?

მაშინ შედრკა კანდიდატი:
როგორ! სთხოვენ მის აზრებს?
მაგრამ უცებ გონს მოვიდა
მისწვდა თავის ციტატებს.
მისანივით უხმო სულებს,
შედრკა უვიც ბალდივით,
წამოჰყარა წინაპრები
ნაომარნი, დაღლილნი.
კედლებიდან თავს აქნევდნენ
დიდი სიბრძნის მთესველნი:
ჩერნიშევსკი,
დოკუჩაევ,
კლუჩევსკი და
ტოლსტოი.

დე იცნობდნენ ლუკიჩს ყველგან
ხალხიც, ჟურნალ-გაზეთიც —
ის თვითონ ჰგავს, უდღეური,
მის ციტატებს გაცვეთილს.

ს. ვასილიევი.

„პრავდა“, 15-V.

თარგმნა ირაკლი აბაშიძემ.

სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკა

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების უფროსი კურსების სტუდენტები შეუდგნენ ზაფხულის საწარმოო პრაქტიკის გავლას.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფი გაემგზავრა აბასთუმნის ასტრონომია-ფიზიკის ობსერვატორიაში. აქ ისინი გაეცნობიან ობსერვატორიის მუშაობას, შეაგროვებენ მასალას თავიანთი სადიპლომო მუშაობისათვის. ბევრ საინტერესო რამეს ნახავენ პრაქტიკის დროს ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები, ისინი გაეცნობიან რუსეთის ისტორიულ ძეგლებს, მოივლიან მოსკოვს, ლენინგრადს, კიევსა და ნოვგოროდს, დაათვალიერებენ უდიდეს ახალ მშენებლობებს. თბილისს ისინი დაბრუნდებიან ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხით.

თბილისის კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან მოსკოვისა და დონეცის აუზების შახტებში. სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტები იმუშავებენ მოსკოვის მაღალ შენობებზე.

საწარმოო პრაქტიკას როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელ ქარხანასა და ოდესის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანაში გაივლიან საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის სტუდენტები.

წელს საწარმოო პრაქტიკაზე იქნება 4 ათასზე მეტი სტუდენტი. (საქდესი).



ბათუმი. სტალინის სახელობის ქუჩა.
ფოტო ნ. ანასტასევისა.

თეატრალურ ინსტიტუტში

საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტებმა საკურსო სპექტაკლად მოამზადეს და მაყურებელს უჩვენეს მ. გორკის პიესა „უკანასკნელნი“ (თარგმანი პროფესორ კ. ანდრონიკაშვილისა). სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს დოცენტ დ. ალექსიძეს, მხატვრობა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს ფ. ლაპიაშვილს.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ სტუდენტები ი. უჩანეიშვილი, ო. მეფვინეთუხუცესი, შ. ლორთქიფანიძე, ნ. ჩაჩანიძე, ზ. ზალდასტანიშვილი, მ. ბებურიშვილი, ც. ქიტიაშვილი, ვ. ელოშვილი, ნ. მგალობლიშვილი, ო. ხარატოვა, გ. მდინარაძე, ე. ახალკაციშვილი, ვ. ზერმანი, მ. არაბული და მე-4 კურსის დიპლომანტები ე. ასლამაზოვა და ნ. მიქელაძე.

ამჟამად ინსტიტუტში მიმდინარეობს გამოცდები. საგაზაფხულო სესიებს აბარებს 150-ზე მეტი სტუდენტი. წელს ინსტიტუტი გამოუშვებს 5 რეჟისორს, 14 მსახიობს და 20 თეატრმცოდნეს.

თვითმოქმედი კოლექტივების შეხვედრა

საქართველოს ხალხურა შემოქმედების რესპუბლიკური სახლი ხშირად აწყობს საწარმოდაწესებულებათა თვითმოქმედი კოლექტივების შეხვედრებს. 2 ივნისს აქ გაიმართა თბილისის მადაფ-კამვოლის ფაბრიკისა და სახელმწიფო დაწესებულებებს მუშაკთა კლუბის რუსული დრამატული კოლექტივების შემოქმედებითი შეხვედრა, მიძღვნილი დიდი რუსი კლასიკოსის ა. ჩეხოვის შემოქმედებისადმი.

მაუდ-კამვოლის ფაბრიკის თვითმოქმედმა კოლექტივმა წარმოადგინა ა. ჩეხოვის პიესა „დათვი“. როლებს ასრულებდნენ მუშები ნ. ლისანოვა, კ. ერშოვი, ა. პოტაპოვი. მეორე განყოფილებაში სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა კლუბის თეატრალურმა კოლექტივმა დადგა ა. ჩეხოვის ორი პიესა „ხელის თხოვა“ და „კარგი დასასრული“. კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ მუშები ი. ილასოვი, შ. კოვალიოვა, ი. კალაში, ე. ზალიევი.

დასასრულ გაიმართა დისპუტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს შემპანკმბინატის რუსული დრამატიული წრის ხელმძღვანელმა გ. ბელოცერკოვსკაიამ და ავტალის შუშის ქარხნის ქართული და რუსული წრის ხელმძღვანელმა ს. წერეთელმა.

„ორი ბედნიერი კვირა...“

უნგრეთის ხელოვნების მოღვაწე საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ.

გუდაპეშტი, 3 ივნისი. (საკდესი). გაზეთ „საბად ნეპში“ გამოქვეყნდა ცნობილი უნგრელი მსახიობის კომუტის სახელობის პრემიის ლაურეატის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კალმან ლატაბარის სტატია „ორი ბედნიერი კვირა მსოფლიოს დედაქალაქში“.

მე, წერს ლატაბარი, როგორც უნგრელ კინომუშაკთა დელეგაციის წევრმა, ორი კვირა გავატარე საბჭოთა კავშირში. მეტწილად მოსკოვში ვიმყოფებოდი. ბევრი რამ გამიგონია იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი მშვენიერი ქვეყანაა, რომ მოსკოვი მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია, მაგრამ თვითონ რომ ჩავედი მოსკოვში და ვნახე მისი შესანიშნავი ქუჩები, შენობები, ძეგლები, პარკები, მივხვდი, რომ უაღრესად შთაგონებული ნამბობიც ვერ გადმოგვცემს ნამდვილად ამ ქალაქის სილამაზესა და თავისებურ ატმოსფეროს.

ჩემს სიცოცხლეში ნახევარი მსოფლიო მოვლილია, მსოფლიოს ბევრ დიდ ქალაქს ვიცნობ, მაგრამ მოსკოვმა ჩემს ყოველ მოლოდინს გადაჭარბა. მინახავს რამდენიმე დედაქალაქის მეტრო, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება მოსკოვისას. მოსკოვის მეტროს ყოველი სადგური სასახლეა.

ლატაბარი ლაპარაკობს მოსკოვის ოპერეტის თეატრში ოპერეტა „თავისუფალი ქარის“ და სხვა ოპერეტების დადგმების შესახებ და წერს: ბევრი რამ ვისწავლე ამ სპექტაკლებით. განსაკუთრებული ყურადღებით ვაკვირდებოდი კომიკური როლების შემსრულებელ მსახიობთა თამაშს. ისინი ძალიან უყვარს საბჭოთა მაყურებელს.

ავტორი სიამაყითა და სიხარულით გვიამბობს, თუ რა დიდი სიყვარულით შეხვდა უნგრელ კინომუშაკებს საბჭოთა ხალხი. ეხება რა სტალინის სახელობის ქარხნის კულტურის სასახლეში ყოფნას, ლატაბარი წერს: რაც ამ კულტურის სასახლეში ვნახეთ, დამახასიათებელია მთელი საბჭოთა კავშირისთვისაც. ყველგან ვხედავდით უდიდეს ინტერესს განათლებისადმი, ხელოვნებისადმი.

მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური

ულან-ბატორი, 4 ივნისი. (საკდესი). დღეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში იწყება მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური. იგი ჩაივლის მონღოლი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის შემდგომი განმტკიცების ნიშნით, საბჭოთა კავშირის დაუშრეტელი გამოცდილების ფართოდ შესწავლისა და გამოყენების ნიშნით. მთელ მონღოლეთში იმართება ლექციები და მოხსენებანი, მიძღვნილი სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის წარმატებებისადმი, მოწყობილია მრავალი გამოფენა, გამოიცა საბჭოთა ნოვატორების ათობით ბროშურა, თარგმნილი მონღოლურ ენაზე. შექმნილია საბჭოთა ხალხის მიღწევების შემსწავლელი, რუსული ენის შემსწავლელი ასობით წრე, საწარმოებში მოეწყო სტახანოვური სკოლები.

მონღოლეთის მშრომელებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა ნოვატორების გამოცდილების ათვისებისათვის, 1953 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მონღოლეთის მთავარი სიმდიდრის — პირუტყვის სულადობის გადიდებისათვის.

ერთთვიურის დროს მოეწყობა საბჭოთა კინოს დეკადა, საბჭოთა წიგნის კვირეული, საბჭოთა კულტურის კვირეული.

საერთაშორისო თემაზე

ქაშმირის საკითხი

დავას ქაშმირის საკითხზე ინდოეთსა და პაკისტანს შორის ხუთ წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მის მოგვარებას ჯერჯერობით დასასრული არ უჩანს.

დავა ინდოეთსა და პაკისტანს შორის ჯამუს სამთავროსა და ქაშმირის თაობაზე დაკავშირებულია ინდოეთის ორ სახელმწიფოდ გათიშვასთან და ხელოვნურად არის გამოწვეული ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტების მიერ.

1947 წლის 3 ივნისს გამოქვეყნებული „მაუნტბეტენის გეგმის“ თანახმად, თითქოს „ინდოეთისათვის ხელისუფლების გადაცემის მიზნით“, ინდოეთი უნდა გაყოფილიყო ორ სახელმწიფოდ — საკუთრივ ინდოეთად და პაკისტანად. ეს გეგმა იმავე წლის 15 აგვისტოს დადასტურებულ იქნა კანონმდებლობის წესით.

ინდოეთის ორ სახელმწიფოდ გაყოფა მოხდა რელიგიური ნიშნის მიხედვით და მხედველობაში არ იქნა მიღებული არც ეროვნული და არც ტერიტორიული ინტერესები. ინდოეთის ნახევარკუნძულის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ მუსლიმანები, რომლებიც უმთავრესად ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში ცხოვრობენ. სწორედ ამ ნაწილებში შეიქმნა მუსლიმანური სახელმწიფო პაკისტანი (წმიდა ქვეყანა). იგი შედგება ერთმანეთისაგან 1600 კილომეტრით დაშორებული ორი ნაწილისაგან — აღმოსავლეთი და დასავლეთი პაკისტანისაგან. მათ შუაში წარმოიქმნა ინდოსტანი ანუ ინდოეთის დომინიონი, რომლის ტერიტორია უდრის 3.165 ათას კილომეტრს, მოსახლეობა კი — 351 მილიონს.

ამერიკელ-ინგლისელმა იმპერიალისტებმა ახლად წარმოქმნილი დომინიონების სათავეში ჯერ მსხვილი ბურჟუაზიისა და მემამულე-ფეოდალების წარმომადგენლები ჩაუყენეს, ხოლო შემდეგ, თავიანთი გავლენის თავზე მოხვევისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისაგან მასების ყურადღების ჩამოშორების მიზნით, ისინი ერთმანეთს წაჰკიდეს. განხეთქილების ჩამოსაგდებად ჯამუს სამთავრო და ქაშმირი გამოიყენეს. ინდოეთის ორ სახელმწიფოდ გაყოფასთან დაკავშირებით წამოიჭრა საკითხი, თუ ვის უნდა გადასცემოდა ეს სამთავრო. ჯამუს მაჰარაჯა, რომელიც ქაშმირს მართავდა, სურვილს გამოთქვამდა, რომ ორივე სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი დარჩენილიყო, მაგრამ პაკისტანმა იმ მოტივით, რომ მოსახლეობის უმეტესობას მუსლიმანები შეადგენდნენ, მოითხოვა მისი გადაცემა პაკისტანისათვის. ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტების კარნახითა და წაქეზებით პაკისტანის მთავრობამ მოაწყო სამხედრო ინტერვენცია ჯამუსა და ქაშმირის სამთავროებში. ინდოეთმაც თავის მხრივ ამ სამთავროების ტერიტორიაზე ჯარების შეყვანით უპასუხა და დაიწყო საომარი მოქმედება.

ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტების მიერ მღვრივ წყალში თევზის დასაჭერად პროვოცირებული კონფლიქტი ნამდვილ უბედურებად გადაიქცა ინდოეთის და პაკისტანის ხალხებისათვის. ინდოეთში სასტიკი ღვნა დაუწყეს მუსლიმანებს. თავის მხრივ ასევე მოიმოქმედეს ინდოელთა მიმართ პაკისტანში. დაიწყო მილიონობით ლტოლვილთა დენა ერთი სახელმწიფოდან მეორეში და პირიქით.

იმპერიალისტების მიერ პროვოცირებული ქაშმირის კონფლიქტის შემდეგ ამ ორ დომინიონს შორის უაღრესად ფაბრიკებს ამ მოსავლის 10 პროცენტს გადამუშავებაც კი არ შეუძლიათ. მაშინ როცა პაკისტანი ინგლისელებზე მეტად იაფფასად ჰყიდის თავის ბამბას, ინდოეთი იძულებულია გაცილებით დაბალი ხარისხის ბამბა აფრიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში შეისყიდოს. ნედლეულის უქონლობის გამო დახურულია კალკუტის ჯუტის გადამუშავებელ ფაბრიკათა ნახევარზე მეტი, მაშინ როცა პაკისტანის საწყობებში ლეპება ნედლი ჯუტი, რომლის ათვისება პაკისტანის მრეწველობას არ ძალუძს.

ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტები, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გარშემო რომ აწარმოებენ სამხედრო ბაზების გამალებულ მშენებლობას, ყოველგვარი ხრიკებითა და საშუალებებით აჭიანურებენ ინდოეთსა და პაკისტანს შორის ჯამუს სამთავროსა და ქაშმირის თაობაზე დავის მშვიდობიან მოწესრიგებას. მათი მიზანია ხელში ჩაიგდონ და თავიანთი აგრესიული მიზნებისათვის გამოიყენონ ამ სამთავროების ტერიტორია, რომელიც მხოლოდ 120 კილომეტრი სიგრძისა და 10 კილომეტრი სიგანის ზოლით არის დაშორებული საბჭოთა კავშირის საზღვრებს.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებმა უშიშროების საბჭოში არაერთი რეზოლუციის პროექტი შეიტანეს ამ საკითხზე და კიდეც მიაღებინეს. ინიშნებოდა შუამავლები და წარმომადგენლები აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად.

1950 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლად ქაშმირში მოქმედებდა ავსტრალიელი ოუენ დიქსონი. დიქსონის მისიის ჩაფუშვის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების დაჟინებითი მოთხოვნით მის შემცვლელად დანიშნა ამერიკელი გრეჰემი. იგი ქაშმირში ჩავიდა ამერიკელი ექსპერტებისა და მრჩევლების მრავალრიცხოვანი შტატის თანხლებით, რომელთა შორის მთავარ როლს სამხედრო პირები ასრულებდნენ, ხოლო მთავარი სამხედრო მრჩეველის პოსტი ამერიკელ გენერალს ეკავა. ამის შემდეგ ამერიკელ-ინგლისელმა აგრესორებმა ქაშმირში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აღმით, როგორც ეს კორეაში მოიმოქმედეს, თავიანთი ჯარების შეყვანაც კი მოინდომეს. სწორედ ამ მიზანს ისახავდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლების მიერ 1951 წლის 21 თებერვალს უშიშროების საბჭოში შეტანილი რეზოლუციის პროექტი. იგი შეიცავდა იმის პირდაპირ მოთხოვნას, რომ ქაშმირში გაგზავნილიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ჯარების ქაშმირში შეყვანის საკითხისათვის“.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის აგრესიული გეგმები ქაშმირის მიმართ აშკარა გახდა თვით ქაშმირშიც. ქაშმირის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ ღულამ მოჰამედ სადიკმა ამის გამო განაცხადა: „ინგლისელ-ამერიკელებს სხვა მიზანი არა აქვთ, თუ არა ის, რომ ქაშმირი გადააქციონ სამხედრო ბაზად რუსეთისა და ახალი ჩინეთის წინააღმდეგ, და მხოლოდ ამიტომ მუშაობენ ასე გულმოდგინედ ამ პრობლემაზე“.

საბჭოთა დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში იმთავითვე ამხილა ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტების აგრესიული გეგმები ქაშმირის მიმართ და მოითხოვა, რათა ქაშმირელ ხალხს თვითონ გადაწყვიტა თავისი ბედი, თვითონ გამოეთქვა თავისი აზრი თავისი ქვეყნის სტრუქტურისა და სტატუტის შესახებ დემოკრატიულ და მშვიდობიან საწყისებზე, გარედან რამე ზემოქმედების გარეშე, მისთვის სხვისი ნების თავზე მოხვევის გარეშე. ახასიათებდა რა ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტებს აგრესიულ გეგმებს ქაშმირის მიმართ, საბჭოთა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში ა. ი. მალიკმა 1952 წლის 17 იანვრის სხდომაზე განაცხადა: „ამ გეგმების მიზანია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ჩარევა ქაშმირის საშინაო საქმეებში, ქაშმირის საკითხზე ინდოეთისა და პაკისტანის დავის განჯრეობა, ქაშმირის გადაქცევა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სამეურვეო ტერიტორიად ქაშმირისათვის „გაერთიანებული ერების მეშვეობით ხელმეწყობის“ საბაბით. ბოლოს, ქაშმირის მიმართ ამ გეგმის მიზანი ის არის, რომ ქაშმირის ტერიტორიაზე შეიყვანონ ამერიკა-ინგლისის ჯარები და ქაშმირი გადააქციონ ამერიკა-ინგლისის კოლონიად და დასაყრდენ სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტად“.

ასეთია ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის ქაშმირის გამო ინდოეთსა და პაკისტანს შორის დავის მოწესრიგებას და ქაშმირის საკითხის სამართლიან გადაჭრას.

ჯ. ტაბატაძე,
ა. მუჯირი.

კასპიისპირეთიდან დარიალამდე

2. შორეული გზით

ექვსასამდე კილომეტრია დარიალის ხეობიდან ნოღაის ტრამალებამდე. წელიწადში რვჯერ — გაზაფხულსა და ზამთრდგომაზე უხდებათ ქართველ მწყემსებს ამ გზის გავლა. ეს მეტისმეტად ძნელი და რთული საქმეა, როგორც ადამიანისაგან ფიზიკურ გამძლეობას და საზრიანობას მოითხოვს.

ნელნელა მიჰყვება ცხვარი ვიწრო ტრასს. კარგად ორგანიზებული გადაადგილების დროს იგი დღეღამეში მხოლოდ 20-25 კილომეტრს გადის. საჭიროა ცხვრის თავის დროზე გამოკვება, წყურვილება და დასვენება. ამიტომ არის, რომ თითქმის ერთი თვე გრძელდება ერთადერთი ტრასა ასეული ფარის გადარეკვა დარიალიდან კასპიისპირეთამდე.

კარგად მოწყობილ მგზავრობაზე ადამიანი არის დამოკიდებული ნამატის ფენარჩუნება და მატყლის გამოსავლიანობის ზრდა. სხვადასხვა ამინდში გზავრობს ცხვარი. ჩრდილოეთ კავკასიაში გაზაფხულობით სიცხე აწუხებს, ზოლო დარიალის ხეობაში — სიცივე, ზაზე ხან წვიმაა, ხან თოვა. საჭიროა ასე მოეწყოს საქმე, რომ მგზავრობისას არ დაეცეს არც ერთი ცხვარი, არც ერთი ბატკანი.

ნოღაეთიდან წელს ცხვარი მაისის პირველ რიცხვებში დაიძრა. ავანგარდში ადგნენ დუშეთის რაიონის მწყემსები, მათ მოჰყვნენ ყაზბეგის, თიანეთის, ახმეტის, ლენინგორისა და სხვა რაიონების ფარები.

მრავალ ათეულ კილომეტრზე გაიჭიმა თეთრი ლაშქარი, მტვრის სქელი ბოლი დადგა ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე. როცა დუშელების მოწინავე ფარები კავკასიონის მთებს მიადგნენ, ბოზარმაზარი ლაშქრის არიერგარდი, ხოლოდ მაშინ იწყებდა მგზავრობას.

მეტად ძნელ პირობებში მოუხდათ წელს ცხვრის გადარეკვა ქართველ

წერილები ჩრდილოეთ კავკასიიდან

მწყემსებს. ეს სიძნელენი ძირითადად გამოწვეულია ტრასის უვარგისობით. საქმე ის არის, რომ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მუშაკების მიერ ეს ტრასა დაგეგმილია არასწორად და ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

დავიწყოთ თავიდან. გზას, რომელიც მერვე საბჭოთა მეურნეობიდან იწყება და იშჩიორსკის ხიდთან მთავრდება, ცხვარი ოთხ დღე-ღამეში ფარავს. ტრასის ამ მონაკვეთზე მწყემსებს საშუალება არა აქვთ არწყულონ ცხვარი, რადგან ჭებში, რომელთა გათხრაზე უამრავი თანხა დაიხარჯა, წყალი არ არის. ყოველივე ეს საგრძნობ ზიანს აყენებს მოგზაურობაში მყოფ ფარებს. უკეთესი მდგომარეობა არც ვოზნესენსკ-ჩიმის უბანზეა. გზის ამ ნაწილს მწყემსები მშიერ გზას უწოდებენ, რადგან აქ უბალახობის გამო ცხვარი ოთხმოცამდე კილომეტრს მშიერი გადის.

საკითხავია, შეიძლება თუ არა ტრასის უკეთ მოწყობა? რა თქმა უნდა, შეიძლება, თუ ამ საქმეს სათანადო ორგანოები ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ. წინაღმდეგ შემთხვევაში მომავალი მგზავრობის დროსაც მოსალოდნელი იქნება ზარალი.

არ კმარა მარტო ტრასის გაფართოება, საჭიროა მისი დაცვა, დასასვენებელი მოედნების კეთილმოწყობა, არტეზიული ჭების გათხრა და ყოველი შემთხვევისათვის ტრასის ცალკე უბნებზე საკვების წინასწარ მომარაგება.

გადარეკვის უკეთ ჩატარებისათვის მეტი ინიციატივის გამოჩენა შეუძლიათ კოლმეურნეობებს. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ იმ ფერმებში, სადაც ტრანსპორტი თავის დროზე მოამზადეს, ცხვრის სიკვდილიანობა მცირე იყო, რადგან დაღლილი ცხვარი ავტომანქანებითა და ურმებით გადაჰყავდათ.

დიდი მნიშვნელობა აქვს გადარეკვის ისეთ აუცილებელ პირობას, როგორიც არის ცხვრის ზოოვეტმომსახურება. ამ საქმეს საჭირო ყურადღება როდი ექცევა. სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ შარშან ბაჯიგანსა და იშჩიორსკაში დაიწყო აბანების მშენებლობა. ბაჯიგანში აბანა მზად არის, მაგრამ არ არის წყალი, უწყლოდ კი ცხვრის გაბანვა შეუძლებელია. იშჩიორსკაში აბანა ჯერაც არ არის მზად. ამიტომ მოხდა, რომ ცხვრის დიდ რაოდენობას ყუთურისა და პიროპლაზმის საწინააღმდეგო აბანები არ მიუღია.

კიდევ ერთი გარემოება იწვევს ცხვრის სიკვდილიანობას. როგორც ცნობილია, ცხვარი 7-8 წელიწადს ცოცხლობს. საჭიროა ფარებში ყოველწლიურად ეწყობოდეს ცხვრის გადარჩევა და წუნდება ასაკის მიხედვით. ვინაიდან ასეთი ღონისძიება უკანასკნელ წლებში მთელ რიგ კოლმეურნეობებში არ განხორციელებულა, ფერმებში ბევრი მცირეპროდუქტიული და ბებერი ცხვარი ჰყავთ, რომელიც ხანგრძლივ მგზავრობას ვერ იტანს. მარტო დუშეთის სოფელ მაქართის კოლმეურნეობაში დაკოდილი ყოჩების 5 ფარას ინახავენ. ცხვრის ასაკობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას დიდი მნიშვნელობა აქვს და მას ყურადღება უნდა მიექცეს.

უგულოდ, უდარდელად მუშაობენ ცეკავშირის სავაჭროები როგორც ნოღაის ველზე, ისე ტრასაზე. ეტყობა ცეკავშირის მუშაკები ანგარიშს არ უწევენ მეცხვარეთა მოთხოვნებს. სხვანაირად როგორ უნდა ავხსნათ, რომ ვოზნესენსკის სავაჭრო წერტში, მაგალითად, დამარილებული თევზისა და თხილის მეტი არაფერი მოეპოვებათ. მართალია, მაღაზიაში დაბამბული ტანსაცმელიც აწყვია, მაგრამ ორმოცგრადუსიან სიცხეში მისი შეთავაზება მწყემსების გულიან სიცილს იწვევს.

დროა, რაიონების ხელმძღვანელები და რესპუბლიკური სამეურნეო ორგანოები გულისხმიერად მოეკიდონ მომთაბარე მეცხვარეობის საქმეს, უკეთესად შეისწავლონ მწყემსთა საჭიროებანი, ნამდვილად დაეხმარონ მათ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში და ყოველდღიურად, მზრუნველობით უხელმძღვანელონ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენი სახელოვანი მეცხოველეების ავანგარდში დგანან.

* * *

ცხელა...

ისეთი ბუღი დგას, რომ სუნთქვა სჭირს, ნაცრისფერი მტვერი მიძვრება ცხვირში, ყურებსა და ტანსაცმელს შიგნით. მტვრისაგან გაშავებული ადამიანები, ზანგებს რომ გვანან, მხიარული ყიჟინით მოერეკებიან ცხვარს. რომელიმე თოხლი ან ბატკანი რომ დავარდება, მწყემსი ფრთხილად აიყვანს მას, ზურგზე წამოიკიდებს და იმ ადგილს მიაცილებს, საიდანაც ცხვარს ავტომანქანით ან ურმით წაიყვანენ.

გავარვარებული მზე დასქერის ჩრდილოეთ კავკასიის მინდვრებს. თუმცა ჰაერში ავარდნილი მტვრისაგან მზე არა ჩანს, მაგრამ მაინც იგრძნობა მისი სხივების მწვავე მხურვალება. ცხვარი კი მოდის და მოდის. დასასრული არ უჩანს უამრავ ფარებს. ჩერდებიან ავტომანქანები, ურმები, ადამიანები, მოდიან დუშელი, თიანეთელი, ყაზბეგელი, ახმეტელი, ლენინგორელი მწყემსები...

უზარმაზარ ძაღლებს სიცხისაგან ენა წამოუგდიათ და ყოველი მხრიდან უვლიან ფარებს, მოაბოტებს რქებგადაგრეხილი ბებერი ვაცი, რომელსაც ახალგაზრდა მწყემსი ილო კეკიშვილი რატომღაც ღატაკს ეძახის. რათაო? — ეკითხებიან.

— იმათა, რო... ვერა ხედავთ, ფული არ ჰქონია წვერის გასაპარსავად.

ხარხარებენ მეცხვარეები.

დინჯად მოუძღვება ფარას მტვრისაგან გაშავებული ჰავლე ნარიმანიძე. მართალია, იგი უკვე სამოც წელს მიღწეულია, მაგრამ ადღა არ ეტყობა. როცა ისმენთ მის მხნე შეძახილს, გაგონდებათ ხალხური:

გაგვიძეხ ბერო მინდიავ,
მუხლი მაიბი მგლისაო...

ორმოცდამეერთე ზამთარი გაატარა წელს ჰავლემ ნოღაის ველზე. ორმოცდაერთი წელია, რაც ცხვარს უვლის და ვინ მოთვლის რამდენი ბატკანი გაუზრდია, რამდენი წვიმა, თოვლი და ქარიშხალი გადაუტანია თავის ცხოვრების გზაზე.

ხალხისათვის სასარგებლო შრომაში გამოიწრთო მოხუცი მეცხვარე. საკოლმეურნეო ცხოვრებამ გახადა იგი დაუღალავ და ხალისიან კაცად. ახლაც, როცა ოფლი წურწურით ჩამოდის, გულიანად ხუმრობს და თავის ცხვარს „დაჩნიკებს“ ეძახის.

— „დაჩნიკებია“ მა რა, ზაფხულობით მთებში მიგვყავს და ზამთრობით ყიზლარში...

ძაუ-ჯიყაუს მისადგომებთან, საღამოხანს გავიცანით ყაზბეგის რაიონის სოფელ გიმარის კოლმეურნეობის ერთი მწყემსი, ისიც ჰავლესავით ხანშიშესული და ენაკვიმატი. როცა ვინაობა ვკითხეთ, გვითხრა:

— გიმარელი ვარ, მიტკა ბიზიკოვი.

— მიტკა ხომ ბავშვის სახელია...

— რას იზამ, ბავშვიც ბერდება, — თქვა მან.

— დიდი ხანია ცხვარში დადიხარ?

მიტკამ ეშმაკურად აგვხედ-დაგვხედა, ალბათ, ხამები ვეგონეთ და ხუმრობას უმატა:

—მარტო წელს, ისიც დედაკაცმა ძალად გამომაგდო.

— ეე, ძმობილო, შენ თურმე დედაკაცებთან ყოფნა გირჩევნია, ვიდრე მწყემსობა.

— სწორია! — თქვა მიტკამ, — მგლებში ყოფნას დედაკაცებთან სჯობია, ყიზლარში სულ მგლებია, წუხელაც სამი მოვკალით.

— რითი.

— კომბლით...

აქ კი მიტკას მხლებლებმა თავი ვერ შეიკავეს და გადიხარხარეს. — ტყუილია, ტყუილი: მიტკა ბიზიკოვი გამოცდილი მეცხვარეა, არაერთი ზამთარი გაუტარებია ცხვარში და მრავალსაც გაატარებს, ხუმრობის გუნებაზე კი თქვენმა ქალაქურმა ჩაცმულობამ მოიყვანაო, — თქვეს.

მიმდინარე წლის ძნელ პირობებში ბეერმა ფერმამ გაითქვა სახელი. სამაგალითოდ გამოაზამთრეს ცხვარი ახმეტის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსებმა, ხანდაელმა მათე მათიაშვილმა, გუდამაყრელმა ჯღუნია ჩოხელმა, ჯაველმა გიორგი პლიევამ, ყაზბეგელმა გიორგი ავსაჯანიშვილმა და მრავალმა სხვამ, რომელთა ჩამოთვლა ძნელია.

მეცხვარეებს დიდ დახმარებას უწევენ დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომ

გერმანიის მშვიდობისა და გაერთიანებისათვის

სრულიად გერმანიის დემოკრატ იურისტთა გაერთიანების კონფერენცია

ბერლინი, 4 ივნისი. (საკდესი). გუშინ ბერლინში გაიმართა სრულიად გერმანიის დემოკრატ იურისტთა გაერთიანების კონფერენცია, რომელსაც დაესწრო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა ნაწილის 4 ათასი დელეგატი. კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს ამოცანები, რომლებიც დემოკრატ იურისტების წინაშე დასახულია გერმანიის გაერთიანებისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ, უფლებათა და დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვისათვის ბრძოლაში.

გერმანელ დემოკრატ იურისტთა ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა მ. ფეხნერმა. მან მოუწოდა იურისტებს თავიანთი ჭეშმარიტ შეტანონ გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის საქმეში და აღნიშნა დიდი მნიშვნელობა იალტის და პოტსდამის შეთანხმებებისა, რომლებიც ითვალისწინებენ გერმანიის როგორც ერთიანი, მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენას. მომხსენებელმა ამხილა რეაქციული არსი ბონის და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებებისა, რომელთა მიზანია გერმანიის გათიშვის გაღრმავება, მისი დასავლეთ ნაწილის რემილიტარიზაცია და ომისათვის მომზადება.

კონფერენციაზე მიღებულ იქნა გაერთიანების ახალი წესდება და არჩეულ იქნა ახალი გამგეობა.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც იკისრეს ვალდებულება გააძლიერონ ბრძოლა გერმანიის მშვიდობისა და გაერთიანებისათვის.

ადენაუერმა თავი აიშვა

ბერლინი, 4 ივნისი. (საკდესი). ადნ-ის საგენტო იუწყება, რომ 2 ივნისს ადენაუერმა განკარგულება გასცა მეექვსეჯერ მოეწვიათ პარლამენტის მუშაობის წესრიგისა და დეპუტატთა ხელუხლეტლობის საკითხთა კომიტეტი, რათა განეგრძოთ განხილვა ბონის მთავრობის შუამდგომლობისა ბუნდესტაგში კომპარტიის წარმომადგენელთათვის საპარლამენტო ხელუხლებლობის წართმევის შესახებ. ამრიგად, აცხადებს სააგენტო, კვლავ წარმოიშვა ათი კომუნისტი დეპუტატის — მაქს რაიმანის, ფრიც რიშეს, ვალტერ ფიშის, ოტო ნიბერგალის, პაულ ხარიგის, ჰერტრუდა შტრობახის, ჰუგო პაულის, ვილი აგაცის, ჰაინც რენერისა და ოსკარ მიულერისათვის საპარლამენტო ხელუხლებლობის წართმევის საფრთხე. ადენაუერი დაჟინებით მოითხოვს, რომ კომიტეტმა დღესვე გამოიტანოს გადაწყვეტილება, რათა შემდეგ მიაღებინოს იგი ბუნდესტაგს.

ამა წლის 22 იანვარს, იუწყება სააგენტო, ადენაუერმა მარცხი განიცადა, როცა მასების ზეგავლენით ბუნდესტაგის უმრავლესობამ უარყო მთავრობის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ კომუნისტი დეპუტატებისათვის წაერთმიათ საპარლამენტო ხელუხლებლობა. საზოგადოებრიობის ფართო პროტესტების შედეგად გადადებულ იქნა აგრეთვე ბონელი ბოლიშევიკების ვადით პროცესი გერმანიის კომპარტიის წინააღმდეგ, რომელიც დანიშნული იყო ბონის ხელისუფალთა მიერ 8 ივნისისათვის.

არჩევნების წინ იტალიაში

ფაშისტთა მანიფესტაცია ნეაპოლში

რომი, 4 ივნისი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ გუშინ საღამოს ნეაპოლში მოხდა იმ წინასაარჩევნო მიტინგის შემდეგ წამოჭრილი ინციდენტები, რომელზედაც სიტყვა წარმოთქვა ნეოფაშისტური პარტიის — „იტალიის სოციალური მოძრაობის“ მდივანმა დე მარსანიჩმა. რამდენიმე ათასმა ნეოფაშისტმა დემონსტრაცია მოაწყო და ქალაქის ქუჩები გაიარა. როცა გაზეთ „უნიტას“ რედაქციის შენობას მიაღწიეს, მათ სტენა ატეხეს. იგივე განიმეორეს მათ ქრისტიან დემოკრატთა პარტიის პროვინციული ფედერაციის შენობის წინ. პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის რამდენიმე შეტაკება მოხდა.

კომენტარს უკეთებს რა ამ ინციდენტებს, გაზეთი „უნიტა“ აღნიშნავს, რომ ქრისტიან დემოკრატთა პარტიის ხელმძღვანელები ყველა საშუალებას იყენებენ იმისათვის, რომ „უწესრიგობა გამოიწვიონ და შიში დანერგონ უბრალო ადამიანთა შორის, მაშინ როცა ქრისტიან დემოკრატთა და ფაშისტთა ხელმძღვანელები ერთმანეთს მაგრად ართმევენ ხელს“.

ნეოფაშისტთა მიერ გამოწვეული ინციდენტები მოხდა აგრეთვე ქალაქებში პადუიასა და როვიგოში. ანტიფაშისტური პარტიებისა და ამ ქალაქების მოსახლეობის ენერგიული პროტესტების შედეგად პოლიციის ხელისუფალნი იძულებული გახდნენ აეკრძალათ წინასაარჩევნო მიტინგები, რომლებზედაც სიტყვის წარმოთქმას აპირებდა სამხედრო დამნაშავე ვალერიო ბორგეზე.

საგაუიცვო მოძრაობა ინდონეზიაში

ჯაკარტა, 4 ივნისი. (საკდესი). როგორც ანტარას სააგენტო იუწყება, 1 ივნისს სუმატრის ჩრდილო-აღმოსავლეთის თამბაქოს პლანტაციების 6.500 მუშამ დაიწყო გაფიცვა, რომელიც, როგორც მუშებმა გამოაცხადეს, 6 ივნისამდე გასტანს. გაფიცულნი პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ ჰოლანდიის აფროსის კომპანიამ გააჭიანურა 1953 წლის კოლექტიური ხელშეკრულების დადება მეთამბაქოეებთან. მუშები აცხადებენ, რომ ამ მოქმედებით კომპანია ცდილობს მომხდარა ფაქტის წინაშე დააყენოს მუშები და უკარნახოს მათ შრომის ანაზღაურების თავის სასარგებლო პირობები.

გაფიცვა დაიწყო მიუხედავად იმისა, რომ შრომათა კონფლიქტების მომწესრიგებელმა ადგილობრივმა კომისიამ, დაეყრდნო რა შრომის საგანგებო კანონს, იგი უკანონოდ გამოაცხადა.

ჯაკარტა, 4 ივნისი. (საკდესი). 2 ივნისს ინდონეზიის სატრანსპორტო საავიაციო კომპანიის „გარუდა ინდონეზიან ეირუეისის“ 2 ათასმა მუშამ გაფიცვა გამოაცხადა და სიძვირის ზრდასთან დაკავშირებით მოითხოვა ხელფასის გადიდება. კომპანიის დირექციამ უარი თქვა მუშათა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 4 ივნისი. (საკდესი). ეროვნული კრების გუშინდელ სხდომაზე მენდეს-ფრანსის მთავრობის დეკლარაციის შემდეგ დაიწყო კამათი. დე გოლის პარტიის ზოგიერთმა წევრმა შინ გამოთქვა „ახალი დებულებების“ გამო, რომლებსაც მენდეს-ფრანსის პროგრამა შეიცავს. მათ მოითხოვეს განმარტება, როგორ აპირებს მენდეს-ფრანსი „ეროვნული თავდაცვის პროგრამის გადასინჯვას“.

სხვა პარტიების დეპუტატებმაც ითხოვეს განმარტება მთელ რიგ საკითხებზე.

შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე ჟან ფრონტი.

— მენდეს-ფრანსის განცხადებაში ახალი და პოლიტიკურად საინტერესო, — თქვა ფრონტმა, —არის იმ დამოკიდებული მდგომარეობის კონსტატაცია, რომელშიც ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა. გარდა ამისა, მენდეს-ფრანსმა რამდენადმე გამოთქვა განზრახვა შეასუსტოს ჩვენი პოლიტიკის დაქვემდებარება ამერიკის შეერთებული შტატებისადმი.

ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ ვიეტნამში წარმოებული ომი საყოველთაო უკმაყოფილებას იწვევს საფრანგეთში, ფრონტმ განაცხადა: „ამ ომის განგრძობა ნიშნავს საფრანგეთის წაყვანას კატასტროფისაკენ“.

ფრონტო შეეკითხა მენდეს-ფრანსს: „აპირებთ თუ არა თქვენ იკისროთ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან და მის პრეზიდენტ ხო ში მინთან საზავო მოლაპარაკების ინიციატივა?“

„მე მინდა განვმარტო, — განაგრძო ორატორმა, — რომ ჩვენ, ჩვენი მხრით, მზადა ვართ მთელი ძალღონით და, ცხადია, ჩვენი ხმებით მხარი დავუჭიროთ საფრანგეთის მთავრობის ყოველგვარ ინიციატივას ამ მიმართულებით“.

ფრონტმ მენდეს-ფრანსს აგრეთვე მისცა შეკითხვა, განზრახული აქვს თუ არა მას მიიღოს ღონისძიებანი მაო ძე-დუნის მთავრობის „და, მაშასადამე, ჩინეთის მთავრობის“ ცნობისათვის და რას აპირებს იგი პიასტრებით სპეკულაციის სასკანდალო ისტორიასთან დაკავშირებით.

შეეხო რა საფრანგეთის რეაქციის შეთქმულებას კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, ფრონტო შეეკითხა მენდეს-ფრანსს, როგორია მისი პოზიცია ამ საკითხში.

ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ საჭიროა ბრძოლა საფრანგეთის ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ორატორმა თქვა:

„იმისათვის, რომ გამოვნახოთ ეროვნული დამოუკიდებლობის საფუძველი, აღვადგინოთ ჩვენი ქვეყანა ყველა დარგში და უზრუნველყოთ მისი მომავალი, არის მხოლოდ ერთი უბადლო კავშირი, ურომლისოდაც ხელი უნდა ავიღოთ ყოველი დიდი განზრახვის განხორციელებაზე, — ეს არის კავშირი მუშათა კლასთან და მთელი ეროვნული ძალების გაერთიანება მის გარშემო“.

ფრონტოს შემდეგ გამოვიდა „დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა“ და „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის“ (კათოლიკეებთან ახლო მდგომი პარტია) რამდენიმე დეპუტატი.

დღეს კამათი ეროვნულ კრებაში გრძელდება.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

მენდეს-ფრანსი დამარცხდა

პარიზი, 5 ივნისი. (საკდესი). გუშინ დღის განმავლობაში საფრანგეთის ეროვნულ კრებაში გრძელდებოდა კამათი იმ საკითხზე, რომ რადიკალთა და რადიკალ-სოციალისტთა პარტიის წევრს მენდეს-ფრანსს მიენიჭოს მთავრობის შედგენის რწმუნებანი. პარლამენტის სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებმა მენდეს-ფრანსს მოსთხოვეს ზოგიერთი განმარტება მთავრობის იმ პროგრამის მთელ რიგ საკითხებზე, რომელიც წინადღით გამოქვეყნდა.

დღის სხდომაზე მენდეს-ფრანსმა უპასუხა მიცემულ შეკითხვებზე. მენდეს-ფრანსმა დაადასტურა თავისი განზრახვა მიაღწიოს კონსტიტუციის გადასინჯვას, და განაცხადა: „ამ საკითხზე მე ვიზიარებ რენე მეიერისა და პოლ რეინოს აზრს. მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რომ კონსტიტუცია რაც შეიძლება მალე გადასინჯოს“.

მოგონა რა ეროვნულ კრებას, რომ საფრანგეთის სამხედრო ხარჯები არაჩვეულებრივად დიდია, მენდეს-ფრანსმა თქვა:

„სახიფათოა ეროვნული თავდაცვის განმტკიცება სახელმწიფოს ეკონომიკის დაცემის გზით“.

საღამოს სხდომაზე მოხდა კენჭის ყრა მთავრობის შედგენის რწმუნებათა მინიჭების საკითხის შესახებ. რწმუნებათა მინიჭებას ხმა მისცა 301 დეპუტატმა. იმის გამო, რომ მენდეს-ფრანსმა ვერ მიიღო კონსტიტუციით გათვალისწინებული ხმების უმრავლესობა (314), მას უარი ეთქვა მთავრობის შედგენის უფლებაზე.

ამრიგად, მთავრობის კრიზისი საფრანგეთში გრძელდება.

ბრძოლა მშვიდობისათვის საფრანგეთში

პარიზი, 4 ივნისი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა ახალი მასალები, რომლებიც მოწმობენ მოძრაობის გაქანებას ხალხთა მშვიდობის დაცვის ვენის კონგრესის იმ გადაწყვეტილებათა მხარდასაჭერად, რომლებიც, როგორც ცნობილია, მოითხოვენ დიდ სახელმწიფოთა თათბირის მოწვევას, რათა მშვიდობიანად გადაიჭრას ყველა სადავო საერთაშორისო საკითხი და დადებულ იქნას მშვიდობის პაქტი.

ქალაქ სენტ-ეტიენის მუნიციპალურმა საბჭომ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან კომუნისტები, „დამოუკიდებლები“, კათოლიკური პარტიის მრპ („სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობა“) და დეგოლელთა პარტიის რპფ („ფრანგი ხალხის გაერთიანება“) წევრები, მიიღო რეზოლუცია, რომელიც გამოთქვამს სურვილს, რომ საფრანგეთის მთავრობამ ყოველი ღონისძიებით დაუჭიროს მხარი მოლაპარაკების იდეას და ხალხთა შორის მშვიდობის იდეას. დასახლებულ პუნქტ ბონიეს (ეოკლიუზის დეპარტამენტი) იმ მუნიციპალური საბჭოს რეზოლუციაში, რომლის შემადგენლობაშიც კომუნისტებთან ერთად არიან „დამოუკიდებლები“ და რადიკალები, ნათქვამია, რომ საჭიროა საფრანგეთის მომავალმა მთავრობამ მოითხოვოს „ყველა კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრა“ და „მშვიდობის პაქტის დადება ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის“. ასეთსავე მოთხოვნას შეიცავს წერილი, რომელიც საფრანგეთის მთავრობას გაუგზავნეს დასახლებულ პუნქტ ემფის (ნიევრის დეპარტამენტი) კათოლიკეებმა.

მთავრობის კრიზისთან დაკავშირებით ეროვნული კრება და ცალკე დეპუტატები განუწყვეტლივ იღებენ წერილებს, დეპეშებსა და პეტიციებს მოთხოვნით შეიქმნას მთავრობა, რომელსაც უნარი ექნება განახორციელოს მშვიდობისა და სოციალური პროგრესის პოლიტიკა.

ქალაქებში, დასახლებულ პუნქტებსა და დეპარტამენტებში, საწარმოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში აქტიურად მიმდინარეობს კამპანია „მოლაპარაკებისა და მშვიდობის ეროვნული კონფერენციის“ მოსამზადებლად, რომელიც პარიზში გაიმართება 27-28 ივნისს.

კორეის ამგეგი

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 4 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები ყველა ფრონტზე მტრის წინააღმდეგ აწარმოებდნენ უმნიშვნელო საარტილერიო სროლას.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 2 თვითმფრინავი.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 4 ივნისი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან გადმოგვცემს დაზავების შესახებ მოლაპარაკების კორეა-ჩინეთის დელეგაციის კომუნიკეს, რომელშიც ნათქვამია:

4 ივნისს დილის 11 საათზე გაიმართა სრული შემადგენლობის დელეგაციების დახურული სხდომა. მეორე მხარემ წინადადება შემოიტანა მოეწყოს შესვენება მოლაპარაკებაში ერთი დღით — 6 ივნისის დილის 11 საათამდე. ჩვენი მხარე დაეთანხმა ამ წინადადებას.

საგაუიცვო მოძრაობა იაპონიაში

შანხაი, 5 ივნისი. (საკდესი). ტოკიოდან მიღებული ცნობებით, იაპონიაში ძლიერდება საგაფიცვო მოძრაობა. 20 მაისიდან გაფიცულია იაპონიის ქალაქის კომპანია „ოძი სეისის“ რამდენიმე ათასი მუშა. გაზეთი „ასახი“ გადმოგვცემს, რომ ამ კომპანიის მუშათა პროფკავშირის საგაფიცვო კომიტეტმა გადაწყვიტა გააქტივოს გაფიცულთა ბრძოლა იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციამ კვლავ უარი თქვა დაკმაყოფილოს მათი მოთხოვნა ხელფასის გადიდების შესახებ.

როგორც ტოკიოს რადიო გადმოგვცემს, გუშინ გაფიცვა დაიწყეს სამთამადნო კომპანიის „ხიდაკი კოძანის“ 13 საწარმოს მუშებმა.

იაპონიის მთავრობის ანტიდემოკრატიული მოქმედება

შანხაი, 3 ივნისი. (საკდესი). როგორც იაპონიის რადიო იუწყება, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აღმასკომის მიწვევის პასუხად იაპონელ ქალთა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა აირჩიეს დელეგაცია 10 კაცის შემადგენლობით ქალთა მსოფლიო კონგრესში მონაწილეობისათვის, რომელიც 5 ივნისს გაიხსნება კოპენჰაგენში. მაგრამ, როგორც კიოდო ცუსინის საგენტო გადმოგვცემს, იოსიდას მთავრობამ უარი უთხრა დელეგაციის წევრებს კოპენჰაგენში გასამგზავრებლად პასპორტების მიცემაზე.

საბჭოთა ფრენბურთელები საფრანგეთში

პარიზი, 4 ივნისი. (საკდესი). გუშინ საბჭოთა ფრენბურთელები შეხვდნენ პარიზის მუშათა გარეუბნის ობერვილიეს ფრენბურთელთა გუნდს. თამაში დამთავრდა საბჭოთა ფრენბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 2:0 (15:0, 15:1). შემდეგ გაიმართა საჩვენებელი თამაში საბჭოთა ფრენბურთელების გუნდის პირველ და მეორე შემადგენლობას შორის.

ობერვილიეს მოსახლეობამ გულთბილად მიიღო საბჭოთა სპორტსმენები.

გუშინ საღამოს საბჭოთა ფრენბურთელების გუნდი გაემგზავრა სამხრეთ საფრანგეთში, სადაც იგი ალესის, მარსელისა და ნიცის ფრენბურთელებს შეხვდება.

ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში



ზესტაფონი. ბერიას სახელობის ქუჩა. წინა პლანზე ფეროშენადნობთა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლის საერთო ხედი.

ფოტო რ. აკოფოვისა.

თგილისში

„კოლმეურნის სახლი“

ქ. თბილისში, აბასთუმნისა და კლარა ცეტკინის ქუჩების კუთხეში საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოს გამოეყო მიწის ნაკვეთი ქალაქში ჩამოსული კოლმეურნეებისათვის „კოლმეურნის სახლის“ ხუთსართულიანი შენობის ასაგებად.

სახლის მშენებლობა დაიწყება 1954 წლის პირველ კვარტალში და დამთავრდება 1955 წლის ბოლოს.

ახალი სასწავლო წლისათვის

დამტკიცებულია გეგმა, რომელიც ითვალისწინებს თბილისის სკოლების, სანავშო ბაღებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა კაპიტალურ რემონტს. ამ მიზნით გამოყოფილია 5.721 ათასი მანეთი.

საცხოვრებელი სახლი

კომინტერნის ქუჩაზე „თბილუნივერმაღის“ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის ასაგებად გამოყოფილია მიწის ნაკვეთი.

რამდენიმე სტრიქონით

○ **სარეწაო არტელმა „გაერთიანებამ“** გახსნა საზაფხულო ქუდების დამამზადებელი საამქრო. აქ ჩალისა და ხის ანათალისაგან ქსოვენ ბავშვისა და მამაკაცის ქუდებს. უკვე მოქსოვილი და რეალიზებულია 7.000-ზე მეტი ქუდი. მიმდინარე სეზონში არტელი საქართველოს რაიონებს მიაწვდის 315.000 მანეთის ქუდებს.

○ **ნორჩ ტექნიკოსთა** წრე შექმნილია ახმეტის რაიონის სოფელ მატნის საშუალო სკოლაში. წრეში გაერთიანებულია 15 მოსწავლე. VII კლასის მოსწავლემ ი. ჯუგაშვილმა დაამზადა უძრავი და მოძრავი ბლოკი, დახრილი სიბრტყე, ხოლო ზ. ხოხობაშვილმა — პოლისპასტი და ბერკეტის წონასწორობის პირობების გამოსარკვევი ხელსაწყო.

○ **გეგეჭკორის რაიონში** მიმდინარე წლის ოთხ თვეში სამამულო ომისა და შრომის პენსიონერებს, აგრეთვე ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს პენსიების სახით მიეცათ 860 ათასი მანეთი, ხოლო ერთდროული დახმარების სახით — 6.430 მანეთი.

გოჰარ გასპარიანის გასტროლები

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში 9 ივნისს იწყება ცნობილი საბჭოთა მომღერლის, სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის, ერევნის სპენდიარიანის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტის გოჰარ გასპარიანის გასტროლები. იგი იმღერებს ლაკმეს პარტიას დელიბის ამავე სახელწოდების ოპერაში.

11 ივნისს გოჰარ გასპარიანი იმღერებს როზინას პარტიას როსინის ოპერაში „სევილიელი დალაქი“.

ბადრაკი

საქართველოს XIV პირველობა

მეთხუთმეტე ტური წინა ტურებთან შედარებით ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა. მაყურებელთა ყურადღებას იპყრობდა ოსტატობის კანდიდატის ა. ბუსლაევისა და ი. ჩიქოვანის პარტია. ა. ბუსლაევმა დებიუტიდანვე ფიგურათა უკეთესი განლაგება მიიღო. ი. ჩიქოვანი ზუსტად ვერ იცავდა თავს და დამარცხდა. ამავე ტურში გამარჯვება მოიპოვეს ა. ბლაგიძემ, თ. გორგაძემ, ო. ელიოზიშვილმა და ბ. გურგენიძემ; ზ. ხაიჩიკისა და მ. შიშოვის პარტია ყაიმით დამთავრდა.

15 ტურის შემდეგ წინ არის ა. ბლაგიძე, რომელსაც 10½ ქულა აქვს.

ქალთა ჩემპიონატი

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს ლ. გელოვანმა საკონტროლო დროს გადაალაგა და წააგო შეხვედრა ვ. ზარგარიანთან. ქ. გოგიავა და მ. მებაღიშვილი პარტიის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ. ქ. გოგიავასა და ლ. გელოვანის პარტია კვლავ გადაიდო.

წინ არიან ე. კაკაბაძე (10 ქულა), ვ. ზარგარიანი (9½ ქულა) და ქ. გოგიავა (8 ქულა ორი გადადებული პარტია).

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1953-54 სასწავლო წლისათვის

ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 40 წლის ასაკამდე:

ა) რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება არჩეული სპეციალობის მიხედვით, გამოამჟღავნეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი და აქვთ სპეციალობის მიხედვით სამეცნიერო, პედაგოგიური ან საწარმოო მუშაობის გამოცდილება;

ბ) რომელთაც მიმდინარე სასწავლო წელს წარჩინებით დამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი, გამოამჟღავნეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისადმი მიდრეკილება და რეკომენდებული არიან ასპირანტურაში მისაღებად უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს მიერ.

ასპირანტურაში მიღება იწარმოებს შემდეგი სპეციალობების მიხედვით:

ენათმეცნიერების ინსტიტუტში: ქართველური ენები, ქართული ლექსიკოლოგია, ახლოაღმოსავლური ენები, ფონეტიკა;

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში: ლიტერატურის თეორია (მივლინება მოსკოვში), ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია;

ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში: საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორია, XIX ს. II ნახევრის საქართველოს ისტორია, საქართველოს არქეოლოგია, ეთნოგრაფია;

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში: საბჭოთა ხელოვნების ისტორია;

ფილოსოფიის ინსტიტუტში: დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი (მივლინება მოსკოვში), ფილოსოფიის ისტორია (მივლინება მოსკოვში);

ეკონომიკის ინსტიტუტში: პოლიტიკური ეკონომია (მივლინება მოსკოვში);

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში: სამუზეუმო საქმე (მივლინება მოსკოვში);

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში: ფუნქციათა თეორია, მათემატიკური ფიზიკის განტოლებები, გამოთვლითი მათემატიკა;

ფიზიკის ინსტიტუტში: ექსპერიმენტული ფიზიკა და თეორიული ფიზიკა;

პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტში: ანალიზური ქიმია (მივლინება მოსკოვში);

გეოფიზიკის ინსტიტუტში: სეისმომეტრია (მივლინება მოსკოვში), ატმოსფეროს ფიზიკა;

გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტში: ჰიდროგეოლოგია (მივლინება მოსკოვში), მინერალოგია (მივლინება მოსკოვში), გეოლოგია;

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში: კლიმატოლოგია (მივლინება მოსკოვში), ეკონომიური გეოგრაფია (მივლინება მოსკოვში);

აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში: მზის ფიზიკა, ასტროფიზიკა;

ბოტანიკის ინსტიტუტში: უმდაბლეს მცენარეთა სისტემატიკა და გეოგრაფია (მივლინება ლენინგრადში), მცენარეთა ფიზიოლოგია, კულტურულ მცენარეთა ფლორა;

ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტში: ნიადაგმცოდნეობა;

მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში: ფიტოპათოლოგია, ენტომოლოგია;

მემინდვრეობის ინსტიტუტში: მემცენარეობა, აგროქიმია, მებაღეობა;

მეხილეობის საცდელ სადგურში: ჯიშთამცოდნეობა, აგროტექნიკა;

მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტში: აგროტექნიკა;

ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტში: კლინიკური ქირურგია;

ფიზიოლოგიის ინსტიტუტში: ფიზიოლოგია;

ზოოლოგიის ინსტიტუტში: ენტომოლოგია (მივლინება მოსკოვში);

ექსპერიმენტული და კლინიკური კარდიოლოგიის ინსტიტუტში: ბიოქიმია, კლინიკა;

ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში: ანატომია;

პალეობიოლოგიის სექტორი: უხერხემლოთა პალეონტოლოგია;

ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტში: სამთო სამუშაოთა მექანიზაცია (მივლინება მოსკოვში), ცეცხლგამძლე მასალათა ტექნოლოგია, ლითონმცოდნეობა, გამდნარ მასათა ელექტროლიზი;

სამშენებლო საქმის ინსტიტუტში: სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაცია და მექანიზაცია (მივლინება მოსკოვში), სამშენებლო მექანიკა;

ა. დიდებულიძის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტში: ელექტროტექნიკა (მივლინება მოსკოვში), ავტომატიკა (მივლინება მოსკოვში), ჰიდროენერგეტიკა.

ასპირანტურაში შემსვლელმა განცხადება უნდა შეიტანოს როგორც სათანადო ინსტიტუტის დირექტორის, ისე ასპირანტურის განყოფილების სახელზე. განცხადებას უნდა ერთვოდეს შემდეგი სამუშაოები: უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის პირი, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, დახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან და ცნობა საწარმოო სტაჟის შესახებ, სამუშაო სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, დაბეჭდილ შრომათა სია, სამეცნიერო შრომა ან რეფერატი, სამი ფოტოსურათი, უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს შუამდგომლობა („ბ“ მუხლში აღნიშნულ პირთათვის).

სამუშაოები წარდგენილ უნდა იქნას სამ ცალად (ერთი რუსულ და ორი ქართულ ენაზე).

საბუთები მიიღება ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 25 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები ჩატარდება 5 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე.

იმ სპეციალობებში, რომლებშიც ასპირანტის მომზადება წარმოებს მოსკოვში ან ლენინგრადში, განცხადებები შეტანილ უნდა იქნას 1 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის განყოფილებაში, ძერჟინსკის ქ. № 8, ტელეფონი 3-56-28.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

6 ივნისს	ვ. დოლიძე — **ძეთო** და **კოტე**
7 ივნისს	დღის 12 საათზე ხ. ფალიაშვილი — **დაისი** საღამოს ჟ. ბიზე — **კარმენი**

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

მოქალაქე **ნიკოლოზ ვასილის-ძე ჩუიანოვმა**, მცხოვრებმა საბჭოს ქ. № 79, აღძრა . საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ნუბარ საფარის ასულ ოგანეზოვა-ჩუიანოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **სურენ თათეოსის-ძე ასმარიანმა**, მცხოვრებმა პლეხანოვის პროსპ. № 30, აღძრა საქმე კალინინის ქ. № 58 მცხოვრებ მოქალაქე **ადელია ლიუდვიგის ასულ ასმარიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დირექცია, პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები იუწყებიან **ვერა ივანეს ასულ მამარდაშვილის** გარდაცვლებას.

ბიძა პოლიკარპე, ბიცოლა ელენე, ბიძაშვილები ანზორ, თენგიზ ჩიქოვანები იუწყებიან ექიმ **თინა ნიკოლოზის ასულ ნაცვლიშვილის** გარდაცვლებას. დაკრძალვა 9-VI, სოფ. ბაშში (სამტრედიის რაიონი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **ვახილ თომას-ძე ყარყარაშვილის** გარდაცვლებას.

შვილები ქეთო, გიორგი, ანა, ნუცა, ძმა პატონენ, რძალი ანა, სიძეები ზ. ბახუტაშვილი, დ. მესაბლიშვილი, ი. ლაღიძე, გ. ლეკიაშვილი იუწყებიან **გაიანე სოლომონის ასულ ბეჟანიშვილის** გარდაცვლებას. დაკრძალვა ენისელში (ყვარლის რაიონი).

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმი იუწყება **დომნა ნიკოლოზის ასულ ვაშაკიძის** გარდაცვლებას. დაკრძალვა 7-VI დიდ-ჯიხაიშში.

საქართველოს ბერიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს 1953-54 სასწავლო წელს ასპირანტურაში მიღებას შემდეგ სპეციალობაზე:

წარმოებისაგან მოწყვეტით:

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მემცენარეობა, ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, გეოდეზია, მიწათმოწყობის დაგეგმარება.

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ:

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, აგროქიმია, ზოგადი მეტყევეობა.

განცხადებები მიიღება 25 ივნისიდან 10 სექტემბრამდე, გამოცდები იწარმოებს 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე.

მეუღლე მინა, შვილი ნუცა, სიძე გ. ხოკოლავა, შვილიშვილები ნუგზარ, თამარ, ალექსანდრა, კლარა ხოკოლავები იუწყებიან ვლადიმერ **ბებუთის-ძე წიწვაგის** გარდაცვლებას. დაკრძალვა 7-VI, სოფ. ციისში (ზუგდიდის რაიონი).